ეროვნულ-ბიბლიოთეკა

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 4. კვირა, 6 თებერვალი 1905 წლისა. № 4.

ყოველკვირეული ჟურნალი

„მოგზაური“

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოდის 1905 წლის 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ი. ევდოშვილი, ნ. ელიავა, ნ. კალანდაძე, ის. კვიცარიძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, გრ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: ერთი წლით—**5** მან., ნახევარი წლით—**3** მან. ცალკე ნომერი—15 კაპ. ადრესის გამოცვლა—40 კაპ. წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„მოგზაურის“ რედაქციაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში—შიო ჭუჩუკაშვილთან; ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩა) და ნაძალადევში—წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.
ბათომში—ანასტასია გოგოლაშვილთან.
ბაქოში—ტერენტი წერეთელთან (ქალაქის საბჭოში).
განჯაში—ი. ევდოშვილთან.
ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან (ამხანაგ. „კოლხიდა“)
ოზურგეთში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ქ-ნ თამარ შარაშიძესთან.
ლანჩხუთში—ივანე კალანდაძესთან.
ჩოხატაურში—ალექსანდრე დოლიძესთან.
სენაკში—არსენ წითლიძესთან.
სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან.
ხონში—ექიმ პ. ლ. კიკალიშვილთან.
ჭიათურაში—ირაკლი დეკანოზიშვილთან.
ზესტაფონში—სოლომონ წულაძესთან.
სად. მიხაილოვში—ივანე ომიანიძესთან.
ქ. გორში—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.

ჟურნალისათვის დანიშნული წერილები და ყოველგვარი კორესპონდენცია უნდა იგზავნებოდეს პირდაპირ რედაქციის სახელობაზე.—ჟურნალში დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები და მოთხრობები, რომელთა დაბეჭდვას რედაქცია ვერ სცნობს შესაძლებლათ, შეინახება 3 თვის განმავლობაში, ხოლო სხვა წერილებისა და კორესპონდენციების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ვისაც რედაქციისაგან წერილით პასუხის მიღება სურს, უნდა წარმოადგინოს ფოსტის ხარჯი.

რედაქცია იმყოფება: ტფილისში, სიონის ქ., სახ. № 44.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. Редакція „МОГЗАУРИ“.**

შინაარსი: თანადროული კითხვები, ფ. მახარაძისა.—ოფიციალური გამოცხადება კავკასიაში მომხდარ მუშების გაფიცვის შესახებ.—სხვა და სხვა ამბები.—ომის ამბები.—კორესპონდენცია.—რუსეთის ქრონიკა —მერცხლების სიმღერა, ლექსი ი. ევდოშვილისა.—თაგუნიას ზღაპარი, თაგუნიასი.—სიტყვაკაზმული მწერლობის როლი და მისი მნიშვნელობა, ივ. გომართელისა.—დღევანდელი სამართალი, კ. ჯ—ძისა.—ცოტა რამ გაღატაკების თეორიაზე, ლ. ახმეტელაშვილისა.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარგმ. ლ. ელიავასი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—განცხადება.

თანადროული კითხვები.

II.

რა არის საზოგადოება? რა შეადგენს მისი არსებობის საფუძველს? რა იწვევს მის წარმოშობას? რაზეა დამოკიდებული მისი განვითარება?—აი ის ძირითადი კითხვები, რომლებზედაც პასუხის მიცემა გაგვიადვილებს ჩვენ საზოგადოების შეგნებას.

ყოველივე მოვლენის ახსნა-განმარტება შეიძლება მხოლოთ ამ მოვლენის წარმოშობის და განვითარების შესწავლით, გაცნობით. ყველა ჩვენგანს ესმის, ყველამ ვიცით, რომ ჩვენ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომ საზოგადოების გარეშე ჩვენ არც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თავი. მაგრამ აბა ერთი კითხეთ ვისმეს: რისთვის ცხოვრობს იგი საზოგადოებაში, რა დამოკიდებულება აქვს მას საზოგადოებასთან, საზოგადოების დანარჩენ წევრებთან, ან სხვებს მასთან?—ამ კითხვებზე გარკვეულ პასუხს იშვიათათ მიიღებთ. არა თუ უსწავლელ კაცს გაუჭირდება ამაზე პასუხის გაცემა, არამედ ბევრი ნასწავლიც ამის შესახებ მართალს ბევრს ვერაფერს გეტყვით. ამის მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო. დღეს საზოგადოების ერთი ნაწილი მეორის წინააღმდეგ იბრძვის, ერთს ეხმარება ჯარი და პოლიცია, მეორე ნაწილი კი ამას მოკლებულია. რისთვის ხდება ეს ასე? განა ჯარისკაცი საზოგადოების წევრი არ არის? განა მან არ უნდა იცოდეს თუ რისთვის ხმარობს იგი იარაღს თავისი მოძმის წინააღმდეგ? ეჭვი არ არის, რომ მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა თავის თავზე, როგორც საზოგადოების წევრზე, იგი ამ შემთხვევაში თავის თავს საზოგადოების გარეშე აყენებს, მაგრამ ასეა თუ ისე, იგი ხომ მაინც საზოგადოების წევრია, ასე რომ როცა იგი თავის მოძმის წინააღმდეგ იარაღს ხმარობს, იგი თავისი თავისვე წინააღმდეგ მოქმედებს. იგი ერთხელაც არ დაეკითხება თავის თავს, თუ რამდენათ სამართლიანი და საჭირბოროტო მისი მოქმედება საზოგადოებისათვის. ეს მაგალითი ერთი მრავალთაგანია. ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ დღევანდელი საზოგადოების წევრები ერთი მეორესაგან დაშორებულია თავის მდგომარეობით, და თუმც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ერთათ უხდებათ მოქმედება, მაგრამ ისინი თავის თავს ვერ გრძნობენ ერთისა და იმავე საზოგადოების წევრებათ. რისთვის არის ეს ასე? რისთვის არის საზოგადოების ერთი

ნაწილი მეორე ნაწილის წინააღმდეგ ამხედრებული? რისთვის არსებობს მის გულში განხეთქილება, ანტაგონიზმი და ამით გამოწვეული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა? რისთვის არის საზოგადოების უმრავლესობა მუდამ დაჩაგრული და გაუბედურებული უმცირესობის მიერ? ამის გასაგებათ საჭიროა, რომ დღევანდელ საზოგადოებრივ ურთიერთობათ ფარდა აეხადოს, და დავინახოთ, ის, რაც სინამდვილეში არსებობს.

ჩვენ პირველ წერილში ვამბობდით, რომ დღევანდელი საზოგადოება მეტათ რთული მოვლენაა: იგი შედეგია ხანგრძლივი ისტორიული განვითარებისა. მისი შეგნებისათვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ წარმოიშვა და ვითარდებოდა იგი წარსულში, ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდა.

ჩვენ სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვოთ იმ შეხედულებას, რომ ადამიანი რაღაც განსაკუთრებული ქმნილებაა ბუნებაში, რომ იგი მოევლინა ქვეყნიერებას რაღაც განსაკუთრებული მიზნის შესასრულებლათ. ჩვენ აქ არ ვეხებით იმას, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანი, —ეს ბუნებისმეტყველების საგანია. ჩვენ ვღებულობთ იმას იმ დღიდან, რა დღესაც იგი თავის ტოლებთან ერთათ საზრდოს მოპოვებას იწყებს. ამ დროს ადამიანი თითქმის არაფრით არ განირჩევა ოთხფეხ ცხოველებისაგან. მხოლოთ ხელების ხმარებამ წელში გამართვა თანდათან აძლევს მას საზრდოს მოპოვებაში დიდ უპირატესობა სხვა ცხოველებთან, რადგანაც ეს ორი გარემოება ხელს უწყობს თავის ტვინის განვითარებას, და გონების მუშაობაც ხომ ამაზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში ადამიანი სხვა ცხოველებთან შედარებით როგორც საზრდოს მოპოვებაში, ისე თავის თავის დაცვაში, მეტათ უძლური ქმნილება იყო. ამიტომ თავის ტოლებთან ერთათ შეერთებით მოქმედება საზრდოს მოსაპოვებლათ და ნადირისაგან თავის დასაცველათ მისთვის აუცილებელი იყო. ამნაირათ ჩნდებიან ადამიანთა პატარა-პატარა ჯგრფები; ამ შეერთების მიზანი გამოკვება და თავის დაცვაა. ასეთი პატარა ჯგუფი უკვე საზოგადოებას წარმოადგენს. ასეთი საზოგადოება ცხოველებშიაც ხშირი მოვლენაა, და ამიტომ არც იმის ახსნაა ძნელი, თუ რისთვის ან როგორ შეჯგუფდენ, შეერთდენ ადამიანები თავიანთ თავის გამოსაკვებათ. ძნელი ასახსნელი და გასაგები ის არის, თუ შემდეგში როგორ განვითარდა და გართულდა ადამიანთა საზოგადოება, მაშინ როცა ცხოველების საზოგადოებას არავითარი ცვლილება არ დატყობია.

მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, გავიგოთ რამოდენიმეთ ის, თუ რა ახასიათებს ამ პირვანდელ საზოგადოებას. პირველ ყოფილი საზოგადოების წევრებში არავითარი განსხვავება არ არის, გარდა იმისა, რაც თვით ბუნებით არის გამოწვეული. ამ მხრით საყურადღებოა უპირველესათ სქესებრივი განსხვავება, შემდეგ ხნოვანება და სიმარდე. მაგრამ ეს არ იწვევს ადამიანთა ჯგუფებში ერთი წევრის მეორესაგან დამოკიდებულებას: აქ ყველანი თანასწორია. ამის თავი და თავი მიზეზი არის ის, რომ იქ ჯერ სრულებით არ არის ის, რაც შემდეგში ჩნდება, ვითარდება, და რაც იმავე დროს ცვლის თვით საზოგადოებას; ე. ი. არ არის შრომის ეკონომიურათ განაწილება. იქ ყველანი, ვისაც კი შეძლება აქვს, ერთ და იმავე საქმეს აკეთებენ. ჯგუფი დათარეშობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ნადირობს, აგროვებს ველური ხეხილების ნაყოფს, და ამის საშუალებით იკლავს სიმშილს და წყურვილს, ე. ი. თავის ერთათ ერთ მოთხოვნილებას. ასეთი ჯგუფი ებრძვის როგორც ნადირებს, ისე თავისავე მსგავს ჯგუფებს, და თუ ბედმა იმათზე გამარჯვება არგუნა, ადამიანის ხორცსაც ისევე სიამოვნებით შეექცევა, როგორც უბრალო ნადირის ხორცს. მაგრამ თვით ჯგუფში არ არის არავითარი შუღლი, განხეთქილება; იქ არ არის დაჩაგრული და მჩაგვრელი. არავის არ აქვს არც უფლება და არც ძალა, რომ ჯგუფის რომელსამე წევრზე ძალა იხმაროს. ამნაირათ, პირველ ყოფილ საზოგადოების უმთავრეს დამახასიათებელ თვისებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ იქ ადგილი არ აქვს განხეთქილებას, ურთიერთ შორის ბრძოლას. როცა თანამედროვე ცხოვრებას თვალით ვუყურებთ ჩვენ ამ პირველყოფილ საზოგადოებას, იგი ჩვენ საზიზღარი და მდაბალი გვეჩვენება ყოველ მხრით, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ადამიანი თავის განვითარების პირველ საფეხურზე გონებით და ზნეობით მეტათ დაბლა დგას. მაგრამ ჩვენთვის აქ ეს გარემოება როდი არის საინტერესო. ჩვენ დღეს გვაინტერესებს ის კითხვა, თუ როგორ, რა მიზეზით ჩამოვარდა და გაიზარდა საზოგადოებაში შუღლი, განხეთქილება, უნდა გამოვიკვლიოთ ის, თუ რა უდევს საფუძვლათ ბრძოლას თანამედროვე საზოგადოებრივ, ჯგუფსა და კლასებს შორის. საჭიროა გავიგოთ, თუ რამ გამოიწვია ის, რომ ერთ და იმავე საზოგადოების წევრებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა დაიბადა; რა უწყობდა ხელს ამ წინააღმდეგობის განვითარებას; და შესაძლებელია თუ არა, რომ ეს წინააღმდეგობა, ეს განხეთქილება სამუდამოთ მოისპოს და საზოგადოებაში დამყარდეს თანხმობა, სოლიდარობა.

პირველ ხანებში ადამიანებს არ ჰქონდათ არავითარი ხელოვნურათ გაკეთებული იარაღი, იმათ მაშინ ცეცხლის ხმარებაც არ იცოდენ, ამიტომ იქ შეუძლებელი იყო შრომის ეკონომიურათ განაწილება, მაშასადამე ყველას ერთ და იმავე პირობებში, ერთნაირათვე უნდა ეშრომა, ემუშავა, გარჩევა არ შეიძლებოდა. ერთნაირი ფიზიკური შრომა ყველასათვის აუცილებელი იყო. ვისაც არ შეეძლო შრომა, მაგ., მოხუცებულებს და ბავშვებს, იმათ უმეტეს შემთხვევაში ხოცავდენ. მაგრამ პირველი იარაღის გამოგონების შემდეგ ჩნდება ნიადაგი შრომის ეკონომიურათ განაწილებისა. პირველათ ეს განაწილება მოხდა სქესებს შუა: დედაკაცებს ერგოთ ბავშვების და მოხუცებულების მოვლა და სახლში საქმობა; მამაკაცები კი გარეთ არიგებენ საქმეებს. მაგრამ ახალ იარაღების გამოგონება კიდევ უფრო ავითარებს შრომის განაწილებას. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ პირველყოფილი პატარა-პატარა ჯგუფები, რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო მრავლდებოდენ, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ რაც დრო გადიოდა, სხვადასხვა ჯგუფებს, თუ თემებს სულ უფრო და უფრო ხშირათ უხდებოდათ ერთმანეთ შორის ომი, ერთიერთმანეთზე დაცემა. ეს გარემოება იწვევდა ერთი ან რამდენიმე მეთაურის არჩევას, რომლებიც გამოცდილებით და სიმარდით იყვენ ცნობილი. თანდათან ეს არჩეული პირები იძენდენ საზოგადოებაზე გავლენას და რაც დრო გადიოდა სხვა გვარ შრომას გარდა ომისა, აღარ ეწეოდენ, მით უმეტეს, რომ შრომის იარაღთა გამოგონების მეოხებით შესაძლებელი შეიქნა ერთი კაცის შრომით რამდენი კაცის რჩენა; ამნაირათ დაედვა საფუძველი ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიერ გაყვლეფას, ანუ ექსპლოატაციას.

ფ. მახარაძე.

ოფიციალური გამოცხადება

კავკასიაში მომხდარი მუშების გაფიცვის შესახებ.

„თფილისში მუშები გაფიცვაზე თანდათან ხელს იღებენ. მუშაობა დაიწყეს ლუდის ქარხნებმა, კამფეტების ფაბრიკებმა, სამხერხაოებმა, არყის ქარხნებმა და ელექტრონის სადგურმა. თამბაქოს ქარხნებსა და ქართველთა ამხანაგობის სტამბის საკაზმავ განყოფილებაში მუშაობას შეუდგა მუშების ერთი ნაწილი. არ მუშაობდენ: სამექანიკო, ფეხსაცმელებისა და საპ-

ნის ქარხნები და ადელხანოვის ფაბრიკები და ყველა სტამბები, გარდა ერთისა. 28 იანვარს დილით დაიწყო მუშაობა საკანდიტეროებსა, პურის საცხობებში და „მირის“ თუთუნის ქარხნებში. 29 იანვარს აგრეთვე დაიწყო მუშაობა საყასბოებში, ორთავე ტრამვაის საზოგადოებაში, სტამბების უმეტეს ნაწილში, ზოგიერთ სახელოსნოებში და სხვა გვარ დაწესებულებებში. რკინის გზის სახელოსნოებში 320-ზე მეტი კაცი მუშაობდა. საქონლის დამტვირთველ დეპოში ყველამ დაიწყო მუშაობა. ორშაბათს, 31 იანვარს, მუშაობა დაიწყეს ყველა სტამბაში და თუთუნის ქარხნებში; აქ მუშაობა ისევ ძველი პირობებით დაიწყო. ამ დღეს აქ მუშაობდა სამექანიკო ქარხნები, ფეხსაცმელების ქარხნები ზარგარიანცისა და არუთინოვისა, საპნის ქარხანა ალიხანოვისა და ტოლლესი და ადელხანოვის ფაბრიკა. ქალაქის საყასბოებში ხელ-მეორეთ დაიწყო გაფიცვა. 1 თებერვალს, ორი კვირის შეჩერების შემდეგ ყველა ადგილობრივი გაზეთები გამოვიდა.

30 იანვარს კუკიის სასაფლაოზე, ნინო გოგიაშვილის დასაფლავების დროს, ხალხში ვიღაც უცნობმა წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც მთავრობას კიცხავდა და განსვენებულს აქებდა, რადგან განსვენებული ამხანაგების განთავისუფლებაში დიდ მონაწილეობას იღებდაო. სიტყვის დამთავრების შემდეგ უცნობი მიიმალა. რადგან განსვენებულის დამარხვის შემდეგ ხალხი არ დაიშალა და „ურა“-ს ყვიროდა, ამიტომ პოლიციამ მოთხოვა, ეხლავე დაიშალენითო, მაგრამ ხალხმა პასუხათ პოლიციას ქვები დაუშინა. ერთი ქვა მოხვდა ყაზახს, რომელიც ცხენიდან გადმოვარდა. თოფების სროლაც დაიწყო. ამას შემდეგ პოლიციამ და ყაზახებმა ხალხი გაფანტეს და 6 კაცი შეიპყრეს. აგიტატორებს უნდოდათ განსვენებულის დამარხვით ესარგებლნათ და ხალხს ატყობინებდენ, ნინო გოგიაშვილი თავის ამხანაგებისათვის დაისაჯაო, და იმასაც კი ამბობდნენ, რომ იგი 23 იანვარს გოლოვინის პროსპექტზე არეულობის დროს მოკლესო. მაგრამ გამოძიებიდან აღმოჩნდა, რომ განსვენებული ჰლექისაგან გარდაიცვალა და თითქმის ხუთის წლის განმავლობაში სახლიდან არ გამოსულა.

26 იანვარს სოფელ დიდ ჯიხაიშში, ქუთაისის მაზრაში, სოფლებმა და ადგილობრივ სასოფლო სკოლის მოსწავლეებმა ბაზარში მთავრობის წინააღმდეგ დემოსტრაციის გამართვა სცადეს. მთავრობის განკარგულებით ბაზარში გაიგზავნა 5 ყაზახი და ერთი ურიაღნიკი, რომელთაც ხალხს დაშლა მოთხოვეს. ხალხმა ყაზახებს თოფები დაუშინა, მივარდა და იარაღის წართმევა უნდოდა. ყაზახებმა თავის დასაცველათ ხალხს რვაჯერ ესროლეს თოფი. მუკლულ იქმნა ერთი გლეხი, ვაშაკიძე, და დაიჭრა რამდენიმე. დაჭრილთა რაოდენობა გამორკვეული არ არის. ამის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქმნა („კავკაზი“).

სხვა და სხვა ამბები.

ოფიციალური ცნობა: ოთხ თებერვალს მოსკოვში, შუადღის მესამე საათზე, როცა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე კრემლიდან გენერალ-გუბერნატორის სახლში მიდიოდა, ნიკოლსკის კარებთან, მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ეტლს ესროლეს ყუმბარა. ეტლი დაიმსხვრა. მისი უდიდებულესობა მოკლულია. მკვლელი იქვე შეუპყრიათ; წლოვანებით 28—30 წლის კაცს გავს, უბრალო გლეხის ტანთსაცმელში; თავის ვინაობას არ აცხადებს. დიდი მთავარი მაშინვე მომკვდარა. სხეული ნაწილ-ნაწილათ დაეგლიჯა ყუმბარას.

---

3 თებერვალს დეპეშამ გვაცნობა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალით იმ ქალაქებში, სადაც გუბერნატორები და გრაღონაჩალნიკები ცხოვრობენ (ქ. ვილნოში კი მისი თანაშემწეც), პოლიცმეისტრის თანამდებობაზე უნდა დაინიშნონ ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსის ოფიცრები და სამხედრო მოხელენი.

ამ განკარგულებით პოლიცმეისტერთა უფლებები „შინაურ მტერთან“ საბრძოლველათ ფაქტიურათ ძლიერ გაფართოვდება, რადგან ჟანდარმის ოფიცერს თავისი განსაკუთრებული უფლებებიც შერჩება და ამის გამო პოლიცმეისტრისთვის ადვილი იქნება მკვიდრთა გაჩხრეკა, დაპატიმრება და სხვა, თუ ვინმე არა კეთილ საიმედოთ მოეჩვენება მას.

თფილისის გაზეთებში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი იმ ახალი პროგრამის შესახებ, რომელიც უწმიდეს სინოდს ქართულ სამრევლო სკოლებისათვის შეუდგენია და რომელიც, სინოდის აზრით მომავალი წლიდან უნდა იქნას შემოღებული. ამ პროგრამით, ერთკლასიან სკოლებში 5 წლის კურსია დანიშნული, ხოლო ორ-კლასიანში—6 წლის კურსი. სამღვთო სჯულის სწავლება პირველ 4 წლის განმავლობაში ადგილობრივ ენაზე იქნება, ხოლო, უკანასკნელ წელს—რუსულზე. სამღვთო სჯულს ასწვლის მღვდელი, ხოლო თუ მღვდელმა რუსული არ იცის,—ერის კაცი. მღვდელსავე ჩაბარებული ექნება დედა-ენის სწავლება და, რასაც უნდა, იმას შეასწავლის. დედა-ენა, ე. ი. ქართული ენა, გაკვეთილების ნუსხიდან გამოტოვებულია. დედა-ენის სწავლება მასწავლებელმა უნდა იკისროს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მღვდელი სრულიად უსწავლელია. სამღვთო სჯულის სახელმძღვანელოებათ დანიშნულია: 1) ეპისკოპოს ალექსანდრეს სახელმძღვანელო, რომლის ქართულ ენაზე თარგმნასაც უკვე შეუდგომიან: 2) „პირველი დაწყებითი დარიგებანი“, სინოდის გამოცემად; 3) ქადაგებანი, XI წიგნათ გამოცემული სინოდის მიერ და ჟურნალ „საეკლესიო უწყების“ მიერ გამოცემული მთელი წლის კვირა-უქმე დღეების საგალობლები. გარდა ამისა, სასინოდო კანტორამ უნდა გამოსცეს ამ საგნისავე სასწავლებლათ და სახელმძღვანელოთ სამღვთო სჯულის მასწავლებელ მღვდელთათვის ქართულს ენაზე და მასწავლებელთათვის, რომელნიც მღვდლის მაგივრათ ასწავლიან, რუსულს ენაზე „რჩეული საგალობელი მთელი წლისა“, რომელიც ორი ანბანით უნდა დაიბეჭდოს—ხუცურითა და მხედრულით. საკითხავ წიგნების სიაში, ე. ი. სკოლის ბიბლიოთეკის კატალოგში მოქცეულია მხოლოთ მაქ. შარაძის და ამხ. მიერ გამოცემული წიგნები.—როგორც ხედავთ, ეს პროგრამა თითქო განგებ არის გამოგონილი, რომ მოსწავლე ბავშვებს გონება სრულიად დაუბნელონ და დაამახინჯონ. ვეჭვობთ კი, რომ იგი ოდესმე განხორციელდეს.

ამ დღეებში თფილისის სახლის პატრონებმა წერილობით მიმართეს ქალაქის ხმოსნებს მეეზოეთა შესახებ. სახლის პატრონების სიტყვით, იმათი უმეტესობა ღარიბია და თუ თვიურათ 15 მანეთსა და მეტს იხდიან მეეზოვეთა დასაქირავებლათ, მხოლოთ იმიტომ, რომ იმათ სახლის პატრონების მოთხოვნილებანი შეასრულონ, ეზოები ასუფთაონ, ქუჩები წმინდონ და სხვ. დღეს კი მეეზოვები პოლიციელების იარაღათ არიან გამხდარი და არავინ მცხოვრებთაგან არ არის უზრუნველ-ყოფილი მეეზოვეთა თვით-ნებობისაგანო. სახლის პატრონები თხოულობენ ამ არა ნორმალური მდგომარეობის რაიმე ნაირათ მოსპობას.

---

31 იანვარს, როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, ოზურგეთში მოუკლავთ მომრიგებელი შუამავალი

თავ. ტიფო ნაკაშაძე. მკვლელი ვერ აღმოუჩენიათ, თუმცა ეჭვით რამდენიმე კაცი დაუპატიმრებიათ.

---

27 იანვარს ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ქალაქის თავს წარუდგინეს განცხადება, რომელშიაც ამტკიცებენ, რომ ქალაქის თვითმართველობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბებს და ეცადოს ამის მიზეზების გამოკვეთასო. მოგვყავს ნაწილი ამ განცხადებისა: მუშათა მოძრაობამ, რომელიც ძლიერ ტალღასავით მოედო მთელ რუსეთს—ვერც თფილისს აუხვია გვერდი. ჯერ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრესი სახელოსნოების მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა, შემდეგ კი გაიფიცენ ყველა კერძო ქარხნებში, ზავოდებში, სტამბებში, სახელოსნო დაწესებულებებში, საყასბოებში და სხვ. მუშაობა შეწყვიტეს. ჩვენი ქალაქის ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა შეჩერდა, გამწვავდა საკითხი მცხოვრებლების სურსათის შესახებ, უპირველესი ალაგი თფილისის მშრომელ ხალხისათვის მზრუნველობამ დაიჭირა, ჩვენი ვაჭრობის და ნორჩი მრეწველობის ინტერესები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობას, რომელსაც კანონის მიერ მინდობილი აქვს „მზრუნველობა სურსათის შემცირების თავიდან ასაცილებლათ“ და რომელსაც მოვალეობათ უდევს გაუწიოს დახმარება მისგან დამოკიდებული ზომების საშვალებით ადგილობრივ ვაჭრობის და მრეწველობის აღორძინებას», არ შეუძლია და უფლებაც არა აქვს გულზე ხელდაკრეფილმა უცქიროს იმ ამბებს, რომელთაც ამ ჟამათ ქალაქი განიცდის, მით უმეტეს, რომ მშვიდობიანათ დაწყებული მუშათა მოძრაობა, ამ დღეებში, სამწუხაროთ, გაფიცულთა და პოლიციის მოხელეთა შეტაკების დროს სისხლით შეიღება. ამ შეტაკებაში დაშავდენ არა მარტო გაფიცულები, არამედ ქალაქის მშვიდობიანი მცხოვრებნიც-კი, რომელთაც არაფრით არ დაურღვევიათ საზოგადოებრივი სიწყნარე. ამის დაგვარათ, უკანასკნელ დღეებში მთმხდარმა ამბებმა არა ერთი და ორი კითხვა წამოაყენა ქალაქის ცხოვრებაში და თბილისის საზოგადოებრივმა მმართველობამ, რომელიც კანონით მოწოდებულია იზრუნოს ქალაქის მატერიალურ და სულიერ ჭირ-ვარამის შესამსუბუქებლათ, ამ კითხვების წინაშე ბაგე არ უნდა დაიცოს.

უწინარეს ყოვლისა ჩვენმა საზოგადოებრივმა მმართველობამ გაფიცულთა და მეპატრონეთა შორის შუამავლობა უნდა იკისროს; ამით ის გამოარკვევს მუშათა მოთხოვნას და მეპატრონეთა წინადადებს და შეიძლენა ისეთ რიგათ მოსპოს მათ შორის არსებული უთანხმოება, რომ არც ერთი მხარის ინტერესები არ დაიჩაგროს. ამ მიზნისათვის საჭიროა ქალაქის საბჭომ კერძო კომისია აირჩიოს ქალაქის თავი თავმჯდომარეობით ამავე კომისიას უნდა დაევალოს თფილისის მუშათა კლასის საჭიროებათა ყოველმხრიული გამოკვლევა, მისი ყოფა-ცხოვრების და ეკონომიური მდგომარეობის გაცნობა და სხვ. კომისიის მიერ შეკრებილი ცნობები ფრიად სასარგებლო მასალათ გამოდგებიან და ნათელ ყოფენ-ჯერე გამოურკვეველ მუშათა კითხვას თფილისში. ამ საშვალებით, და მუშათა ნამდვილ და მომწიფებული საჭიროებათა დაკმაყოფილებით, ადვილი შესაძლებელია მიაგნონ იმ ზომებს, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნება მომავალში მაინც თავიდან ავიშოროთ გამწვავებული სოციალური კითხვის შედეგი. მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ კომისიის შრომა სრულიად უნაყოფოთ ჩაივლის და თვით კითხვის გამორკვევასაც არაფერი ეშველება, თუ რომ მუშებს კანონით არ შეიძლება ყრილობათა და კავშირის უფლება, უფლება თავისუფლათ განსჯისა საკუთარ საჭიროებათ და შვიდობიან გაფიცვათა უფლებაც კი, ვინაიდან ეს უკანასკნელი ერთათ-ერთი ძლიერი საშვალებაა მუშებისთვის თავისი იტერესების დასაცველათ. დასასრულ ხმოსნები თხოულობენ რომ ქალაქის მცხოვრებთა დასამშვიდებლათ გულმოდგინეობით გამოკვლეულ იქნას 23 იანვარს მოხდარი ამბებიო.

ომის ამბები.

სამგლოვიარო წლის თავი.

„ნაშა ჟიზნის“ მე 72 ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილი ზემო აღნიშნული სათაურით. „1904 წლის 26 იანვარს ღამით იაპონიის ფლოტმა იერიში მოიტანა ჩვენს პორტ-არტურის ესკადრაზე და სამი საუკეთესო გემი რამოდენიმე თვით გამოთიშა იმის რაზმს. ამით დაიწყო ის ომი, რომლის სამგლოვიარო წლის თავს დღეს იგონებს მთელი რუსეთი“.

შემდეგ ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ თანდათან შეეცვალა ჩვენ საზოგადოებას აზრი იაპონელებზე. ჯერ ჩვენს წინაშე „ცბიერი მტერი“ და უბრალო „მაკაკები“ იყვნენ; შემდეგ ისინი მოხერხებულ და გაბედულ მტრებათ გადაიქცენ, ხოლო დასასრულ ჩვენ ჯარს საქმე დაურჩა მრისხანესა და გულად მტერთან, რომელიც თავისი სამხედრო ძლიერებით და განათლებით თუ არა გვჯობს, არ ჩამოგვრჩება მაინც.

„მთელი წლის განმავლობაში მხოლოთ დამარცხება და დამარცხება—გამარჯვება ერთიც არ გაგვიგონია. მანჯურიის მთებსა და მინდვრებში ჩვენ ასი ათასობით ახალგაზრდები დავკარგეთ. ხოლო ოკეანეს ტალღებში დაიმარხა მთელი სამხედრო ფლოტი წყნარი ოკეანისა. ახლა კი ჩვენს წინაშე კითხვა დგას: რა ვქნათ შემდეგში?

აქ გაზეთს მოყავს ის საზარელი შედეგი, რომელიც ასეთ უღმერთო ჟლეტას მოსდევს ხოლმე, მოყავს ის გაჭირვება, რომელსაც ითმენენ ომში წასულნი და მით უმეტეს, გაწყვეტილთა ობლათ დარჩენილი ოჯახები. მოყავს აგრეთვე ხარჯი ამ დამღუპველი ომისა, რომელიც, რაც უნდა მოკლეთ ვიანგარიშოთ 600 მილიონამდე ადის. მაგრამ ამ ფულებში არ შედისო: არც ღირებულება დაღუპული ფლოტისა, არც წართმეული ზარბაზნებისა და სამხედრო სურსათისა, არც დანგრეული რკინის გზისა, არც გადამწვარი და აოხრებული ქალაქებისა და სოფლებისა, რომელიც საერთო ჯამით პირველ რიცხვსაც გადააჭარბებს. ამ რიცხვში არ შედის აგრეთვე არც ის უზომო მსხვერპლი ადამიანთა სახით შეწირული, რომელიც რა თქმა უნდა ფულით არ იანგარიშება.

„თუ თერთმეტი თვის ბრძოლამ ასეთი ხარჯი მოითხოვა, უნდა მოველოდეთ, რომ მეორე წელი ორჯერ მეტათ მანც დაგვიჯდება. იმ მანჯურიისათვის, რომელიც მთელი რუსეთისათვის უცხო და გაუგებარია. გარდა ზოგიერთ ექსპლოატატორებისა, რომლებმაც თავისი ფულები, ადგილობრივი-ბუნებრივი სიმდიდრის მოსახვეჭათ ჩააბნიეს; გარდა ამ მდიდრებისა, რომელთა უმრავლესობა ჩვენი საზოგადოების უმაღლეს წრეს ეკუთვნის, არავისათვის საჭირო არ არის არც მანჯურიისა და არც პორტ-არტურის შეძენა. „რუსეთის ღირსება თხოულობს ომი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გაგრძელდესო. ჩვენ არ შეგვიძლია მშვიდობაზე ლაპარაკი, სანამდი მტერს არ დავამარცხებთო“ გაიძახიან: „ნოვოე ვრემია“ „მოსკოვსკია ვედომოსტი“ და „გრაჟდანინი“. და ამასვე იმეორებს უფრო თავდაჭერილათ გაზ. „რუსი“. მაგრამ ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ამ გაზეთების მიმართ საზოგადოების თანაგრძნობა რაღაც საეჭვო საფუძველზეა დამყარებული და სადაც კი რუსის ხალხს მიეცა მცირეოდენი საშვალება თავისი აზრის გამოსათქმელათ, ყოველი მხრიდან მოისმის: „კმარა ამდენი

სისხლი“-ო. „მაგრამ როგორ უნდა ჩამოვარდეს ზავი ამდენი დამარცხების შემდეგაო“,—გვეუბნებიან ჩვენ“.

ქვევით ავტორი ამბობს, რომ ომში ერთი მხარე უთუოთ უნდა დამარცხდეს. „თუ ჩვენ პორტ-არტურის და ლიაოიანის დაკარგვის შემდეგ ზავის ჩამოგდება არ გვინდა, განა იაპონელები კი მოისურვებენ თუ რაიმე სასწაულით ჩვენ ამ ქალაქებს უკანვე დავიბრუნებთ? ჩვენი ჯარი დამარცხდა აუსტერლიცთან და ფრიდლანდთან, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ტილზიტის ზავი მიგვეღო; ჩვენი ჯარი დამარცხდა სევასტოპოლში, მაგრამ ჩვენ მივიღეთ პარიჟის მორიგება. ახლა რატომ არ უნდა ვითხოვოთ მორიგება, როდესაც ვხედავთ, თუ რა საზარალო შედეგი მოსდევს ჩვენთვის იაპონიასთან ომს?“

შემდეგ ავტორი ამტკიცებს, თუ როგორ მოუხერხებელია რუსეთისათვის ამ ომში გამარჯვება. „მოვიკრიბოთ გაბედულება და შევხედოთ თვალებში სინამდვილეს. აქ დავინახავთ, რომ საბოლოოთ იაპონიის დამარცხება ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელი საქმეა. ჩვენ ვხედავთ, რომ ჭკუროპატკინის ყველა იერიში საშინელი მარცხით ბოლოვდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იაპონელები მუკდენს ვერ აიღებენ, მარა არავითარი უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯარს, რომელმაც თავისი გამაგრებული პოზიცია ვერ შეირჩინა, წართმეულის უკან დაბრუნება შეეძლოს. მაგრამ წარმოვიდგინოთ მაინც, რომ კუროპატკინმა დაამარცხა მტერი, დაიბრუნა უკან ლიაოანი და მიადგა ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს. აქ კი უნდა შეეკვეცოს ფრთა ყოველივე იმედს. თუ ზღვიდან და ხმელეთიდან ალყა შემორტყმული პორტ-არტური ხუთი თვის შემდეგ აიღეს იაპონელებმა, ჩვენს ჯარს საიდან შეეძლება იმისი დამარცხება, როცა ჩვენი ალყა მხოლოთ მარტო ხმელეთიდან იქნება. ამ სახით იაპონიის დამარცხება ამ დროსა და ამ პირობებში ყოვლად შეუძლებელია. შეიძლება მხოლოთ რამოდენიმე შეტაკებაში გაიმარჯვოს ჩვენმა მხედრობამ, მარა ამისათვის იმის გაგრძობა განა ღირს?! რა თქმა უნდა, რომ არა და არა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთელი შეგნებული რუსეთი დღეს ჩვენთან ერთათ წინააღმდეგია ამ ომისა და მშვიდობიანობის აღდგენას ელის.

„მაგრამ ნუ გავკიცხავთ სულ ამ ომს“,—განაგრძობს წერილის ავტორი. ჩვენ მით მოვიპოვეთ ერთი ძვირფასი გამოცდილება, იმდენათ თვალსაჩინო, რომ ის თითქმის გვიქრობს მწუხარებას ამდენი კაცთა მსხვერპლით გამოწვეულს. ძვირფასი შედეგი ამ ომისა ის არის, რომ საზოგადოება დარწმუნდა ჩვენი ახლანდელი მართვა-გამგეობის ყოვლად უვარგისობას და სიძველეში. საზოგადოებამ დაინახა სიმამაცე ჩვენი სალდათისა, მაგრამ ხედავს იმასაც, თუ როგორ იხშობა და კვდება ეს ნაციონალური ძალა რუსის ხალხისა ბიუკრატიული მთავრობის ბორკილში. პორტ-არტური უმაგრესი ციხეა ქვეყანაზე, მაგრამ ის არ დარჩა მზათ მოსალოდნელ შემთხვევისათვის, ჩვენივე მთავრობის მიზეზით, თუმცა ეს მთავრობა აგერ ათი წელიწადია ამ ომისთვის ემზადება. გენერალთა შორის შური და უთმანხმოება იყო მიზეზი ტიურენჩენში ჩვენი მხედრობის დამარცხებისა და ჩვენმა დახავსებულმა მთავრობამ ვერ მოახერხა ამისი აცდენა, რადგან უმაღლეს სამხედრო თანამდებობას ის არიგებს არა ნიჭისა და ღირსების მიხედვით, არამედ მოყვრობით, ნათესაობითა და ნაცნობობით. მაშინ, როდესაც იაპონიის პრესა თავისუფლათ მსჯელობს მათი გენერლების ღირსებასა და ნაკლულევანობაზე, ჩვენი ბიუროკრატიული მთავრობა არა თუ თავისი შეცდომების გასწორებას ცდილობს, არამედ იმას, რომ ეს შეცდომები არავინ გაიგოს და ხმა არავინ ამოიღოს.

ახლა კი ჩვენი ბიუროკრატიული მაშინის სიდამპლე ყველასათვის თვალსაჩინო სიცხადით გამოაშკარავდა და სწორეთ აქა ვხედავთ ძვირფასს მხარეს ამ საშინელი ომისას. დღეს თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ამ ომის შემდეგ და იქნება თვით ომის დროსაც ჩვენმა თანამედროვე მართვა-გამგეობამ ძირითადი ცვლილება უნდა განიცადოს.

მაგრამ დღეს მხოლოთ ეს უნდა გვახსოვდეს: რომ ეს ომი უაზროა, რომ ის უსარგებლოა და ახლა კი თანამედროვე მთავრობის ხელში უიმედოც. ამიტომ ეხლავ, დაუყონებლივ, უნდა ვითხოვოთ იაპონიასთან ზავის ჩამოგდება („ნაშა ჟიზნი“).

ამ ბოლო დროს დაჟინებით ამბობდენ და წერდენ გაზეთებში, რომ ამ ახლო ხანებში გენერალი კუროპატკინი მანჯურიის ჯარის მთავარ სარდლობას თავს დაანებებს და რუსეთში დაბრუნდებაო. ახლა ყველამ კარგათ იცის, რომ კუროპატკინსა და მის ქვეშევრდომ გენერლებს დიდი უთანხმოება და ქიშპობა მოსდით, ეს კი მომავალ ომზე ძლიერ ცუდ გავლენას იქონიებს. უკანასკნელ ცნობებიდან ნათლათა ჩანს, რომ იაპონიელები ხარბინისა და ვლადივოსტოკისაკენ აპირობენ წასვლას. ამბობენ, იაპონიელებმა ამ ქალაქისაკენ გალაშქრება დაიწყეს კიდეც.

„ნ. ფ. პრ.“ ამბობს: გენერალი გრიპენბერგი რუსეთში დაბრუნდა. კუროპატკინის საქმე ცუდათ მიდის, ნდობა დაკარგა და დღეს თუ ხვალ, იმის საქმე რითიმე უნდა გათავდესო.

დღეს უკვე ყველა, ვინც კი გარემოება იცის, ამბობს, რომ იაპონია, ყოველგან, ზღვაში, თუ ხმელეთზე, გამარჯვებული გამოვა და რუსეთი ძლიერ კარგათ მოიქცევა, თუ იაპონიას დაურიგდებაო.

სხვათა შორის ამერიკელ მაიორ გრიბლს უთქვამს: ,,რუსეთმა ხელი უნდა აიღოს ომის განგრძობაზე. მეტათ ძვირათ დაუჯდება ომის გაგრძობაო‘‘.

პოლკოვნიკ გიკლის აზრით, არავითარი იმედი არაა, რომ რუსეთმა გაიმარჯვოსო (ნ. დ.).

კორესპონდენცია.

ᲝᲓᲔᲡᲐ. აგერ წინაზე რუსულ-ქართული გაზეთების ფურცლებზე აღნიშნულ იქმნა ბეტერბურგულ ქართველ სტუდენტებს შორის ატეხილი უთანხმოება და განხეთქილება. მართალია დღევანდელ პირობებში ამ ფაქტის მნიშვნელობაზე დიდხანს კამათი და უერთდების შეჩერება არ ღირს, რადგან სხვა ათასი ამაზე მნიშვნელოვანი და საეურადღებო მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში დროის შესაფერ ახსნასა და კარგვევას თხოულობენ და ამიტომ მთელი ზნეობრივი და მატერიალური ძალ-ღონე ამათ გაგებას უნდა შეეწიროს, მაგრამ გაკვრით მაინც მოწინავე მწერლობა ვალდებულია ისეთ კითხვებსაც შეეხოს, როგორც, მაგ სტუდენტებ შორის გამწვავებული ბრძოლა თუ განხეთქილებაა. ჩვენი გაზეთები ამისთვის თავს არ იტკივებენ და ეს მათ პირსნება უმთავრესათ, რომ ისინი „პირველ ხარისხოვან“ კითხვებსაც რიგიანად ვერ არკვევენ, იმდენათ მაინც რამდენათაც ეს შესაძლებელია თანამედროვე პირობებში. საქმის ნამდვილი გარემოება პეტერბურგში არ ვიცით, ხოლო ის კი ვიცით დანამდვილებით, რომ ქართველი სტუდენტობა თითქმის უველა სასწავლებლებში სრულიად არ წარმოადგენს ერთგვარს მასას, იგი დაყოფილია, უფრო, თანდათან იყოფება სხვა და სხვა ჯგუფებათ, ემხრობა ამა თუ იმ სახოგადოებრივ მიმდინარეობას, de jure თუ de facto კბილუწება სახოგადოთ შემუშავებულ ამა თუ იმ პროგრამს. ქართველი სტუდენტობის ჯგუფური დაყოფა და მოქმედება ხშირათ იწვევს უველგან ბატარ-ბატარა შეტაკებებს და განხეთქილებებს. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა არავითარ არ უნდა იყოს სამწუხარო მოვლენა, ეს ფაქტი მხოლოთ იმით აღონებს და აფიქრიანებს, ვინც მუდამ ყმს „ერთიანობაზე“ დიდებებს და ვისთვისაც ცხოვრების გულიდან აღმოცენებული უთანხმოება ეროვნული განვითარების დამაბრკოლებელი და დამღუპველი სქმეა. „ივერიელთა“,

„ცნობის-ბურცლელთა“ და მესამე დასელთა შორის არსებული, შეურიგებელი განხეთქილება და ბრძოლა თუ აუცილებელი და ბუნებრივი იყო, აუცილებელი უნდა იყოს სტუდენტობაშიაც ასეთივე ბრძოლის დაბადება. მით უფრო, რომ სტუდენტობა გარდა ამისა, სხვა ნაირ მიმართულებათა გაგლენასაც განიცდის რუსეთის საზოგადოებაში. საუცხოო მაგალითს ჩვენი აზრის დასამტკიცებლად წარმოადგენს ადესის სტუდენტობა, რომლის ელემენტები ნელნელა იერიან თავს ამა თუ იმ დროშის ქვეშ და ამის და გვარად მოქმედებენ. ჩვენ, რასაკვირველია, აქ მხედველობაში არა გვყავს კამოუბრუნებელი კარიერისტები, რომელთაც დაბეჭდილი აქვთ გრძნობა-გონება უოველგვარი კეთილშობილური ახრების და იდეალებისთვის. „ბიტენტის“ მისადგამთ. კარიერისტისათვის ხალხს და და სამშობლოს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. რაკი ადესის ქართველი სტუდენტობა დაიყო, ასე ვთქვათ, მიმართულების დაგვარად, მახალოდნელია, ის მოქმედების ენერგიის გაორკეცებას და მომზადებული შეერევა ამდენჯერებულ ცხოვრებას. თუ ისტორიული მოშენტი მოითხოვს მისი სხვა და სხვა ელემენტების დროებით „გაერთიანებას“, აშკარაა ბრინციპიალური განხეთქილება, რომელიც აქაურ სფეროში უტეუარი ფაქტია, სრულიად არაფერს დაუშლის, ბირაქით ხელს შეუწყობს მომავალ მოდგაწეთა მოქმედებას და საზოგადო მსოფლიოს მხედველობის შემოშავებას საქმეს. ბრინციპიალური განხეთქილების დაბადება მომასწავებულია იმის. რომ ქართველი სტუდენტობა, როგორც საერთოთ რუსეთის სტუდენტობის ნაწილი, აბსოლიუტიურად წინ წავიდა. ადესის ქართველი სტუდენტების შესახებ ისიც უნდა გოქვათ, რომ მისი „უმრავლესობა“ (ერთი ჯგუფი) მისივე „უმცირესობასთან“ (მეორე ჯგუფი) შეღარებით ნაკლებ უნარიანობას და სიფხიზლეს იჩენს, ჯერ კიდევ მომავალში ვერ გამოიცვალა „ძველებური, ჩვენებური“ ქერქი და ვერ შეეწყო შეცვლილ პირობებს. კიდეც ესაა მიზეზი საზოგადო „განხეთქილებისა“, ანუ შეურიგებლობისა ქართველ სტუდენტებს შორის. დამახასიათებელია ჩვენი საზოგადო წარმატების დასამტკიცებლად ის ბაწია ფაქტიც, რომ ქართველ სტუდენტობაში მახლა დიფერენციაცია ცხოვრების ვითარების თანახმათ, დაიბადა ბრინციპიალური შეურიგებლობა. ჩვენ იმედი გვაქვს, გავიგებთ ბეტერბურგელ ქართველ სტუდენტებ შორის მომხთარ განხეთქილების საქმეს, რომელსაც ორი ბეტერბურგელი სტუდ.—ბებურიშვილის და ელიავის განცხადებით „ცნ. ფ“-ში, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. სასურველია, ასეთ ხარი ფაქტები სავსებით ადნიშნას ხოლმე წერილებში, რომელთათვის კი შესაძლებელია.

დაზოუკიდებელი.

რუსეთის ქრონიკა

ჯერ კიდევ არ დასრულებულა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მუშათა გაფიცვები და ამ ნიადაგზე ადმოცენებული არეულობანი. ქ. ვარშავაში 25 იანვრიდან მხოლოთ წვრილი წარმოების მუშებს დაუწყეს მუშაობა, დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებში კი ისევ გრძელდება გაფიცვა. ამ გაფიცვამ მიიღო მთელი ბოდიშვილი და 25 იანვრისთვის ასეთი მდგომარეობა იყო: ქ. რადომში გაფიცვა დასრულდა და მუშების უმრავლესობამ დაიწყო მუშაობა; ქ. ოსტროვეცში მხოლოთ ნაწილი შეუდგა მუშაობას; დაუბლინში სრული მშვიდობიანობა და გაფიცვა გათავდა; ბელეცშიც საწყისარეა; სოსნოვიცას რაიონში ისევ გაფიცვაა; შტაკები ბოდიტასა და ჯარებთან არ ეთვლის; კონსკის მაზრაში სადგურ სკარჟისკასთან 22 იანვარს მოხდა დემონსტრაცია: 1500 მუშას შეტაკება მოუვიდა ჯართან; ჯარმა ისროლი იხმარა; მოკლულია 24, დაჭრილია—40; სელდეცის გუბერნიაში მშვიდობიანობა ადგილიდან და ჯარებიც სელდეცში დაბრუნდა; ფაბრიკებში მუშაობა დაიწყეს, ბელოცკის გუბერნიაში ზოგ ქარხნების მუშები გაიფიცნენ, მაგრამ წესიერება არ დარღვეულა; კალიშის გუბერნიაში მშვიდობიანობაა—ფაბრიკები მუშაობენ, დუქნები დიან. ვარშავის გუბერნიაში ფაბრიკებსა და ქარხნებში ნელ-ნელა იწყებენ მუშაობას; მუშები ნაწილ-ნაწილ უბრუნდებიან თავიანთ საქმეს („გვრშ. დნევნ.“).

◆ ბუტირკის ქარხნის (ბეტერბურგშია) დირექტორს სმირნოვს მიუმართავს სახელოსნოების გამგებლისთვის და უთხოვნია—შემოდგომით არა გეთილ-სიამოვნო მუშების სია და წარმომადგინეთ, რომ ვეცადო დაგითხოვოთ. ბევრ გამგეთაგანს წინასწარმეტყველობა გამოუცხადებიათ ასეთი დანიშნულების შესახებ, რადგან იგი არც ქარხნის ინტერესებისათვისაა სასარგებლო და არც შეეფერება სახელოსნოს გამგის როდსა. ამის გამო შეკრებილან ეს გამგენი და მათი თანაშემწენი და ერთხმათ დაუდგენიათ: 1) მუშათა მოძრაობა ქარხნებში კი არ დაწუებულა, არამედ გრეთ: ეხლა ასეთია დროის მიმართულება და საზოგადოებრივი განწყობილება; ამიტომ არც არიან კერძო დამნაშავენი და არც არავინ უნდა დაისჯოს; 2) ქარხანას წინეთ კარგი გინწყობილება ჰქონდა მუშებთან; ქარხნის ინტერესი მოითხოვს შემდეგშიაც ასეთი განწყობილება იქონეს; ამიტომაც უველა მუშები უნდა იქნენ მიღებული ქარხანაში; რაც შეეხება არასაამოდების გამოძენას, ეს პოლიციის საქმეა.

ეს რომ სმირნოვს გაუგია, მოუწვევია სახელოსნოების გამგენი და დიდი სიუველური გამოუცხადებია; შემდეგ სათითოთ ჩამოუკითხავს, ვინა ხართ წინააღმდეგი ჩემის განზრახვისა; აქ კი ორის გარდა უველას უდასტინია დადგენილებისათვის და სმირნოვს მომხრობია. მაგრამ სმირნოვსა და მის მშიშარა გამგეებს მაინც ვერ უსრულებიათ თავიანთი განზრახვა: პოლიციას შემოუთვლია მათთვის—ნუ ერევით ამ საქმეში, ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ, ვინ არის საამოდ და ვინ არა. ბუტირკის ქარხნის ინციდენტის ასეთ არა სკანდალის საქციელზე მსჯელობა ჰქონია ბეტერბურგის ინჟინერთა საზოგადოების კრებას 27 იანვარს და დაუდგენია: 1) უდარისა ამ ინციდენტის ქცევა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს არა გეთილ-სიამოდ პირების საიის შედგენაში და 2) მოეთხოვოს სმირნოვს ანგარიში მისის მოქმედებისა.

◆ გაზეთ „ვოეკ“-ში მოთავსებული ვარშავაში მომხდარ არეულობის ანგარიშიდან ჩანს, რომ ქ. ვარშავაში უკანასკნელ არეულობის დროს დაუტუსლებიათ შვიდასზე მეტი კაცი.

◆ თითქმის უველა რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ბ. პანტელეევის წერილი, რომელთაც მან მიმართა სტატ-სეკრეტარს ბ. ბეზობრაზოვს. აი ეს წერილი. „ერთი წელიწადია, რაც გრძელდება თავის უბედურებით უმაგალითო ომი და დასასრული კი არ უჩანს. არ არის ისეთი მსხვერპლი, რომელსაც რუსის ხალხი შეუშინდეს, არ აქვს საზღვარი იმ სულიერ ძალას, რომელიც შეუძლია გამოაჩინოს რუსის ხალხმა, როცა იცის, რომ იგი იცავს თავის კერას, მიწა-წყალს შრომის ნაყოფს. მაგრამ ასეთია ახლანდელი ომი? რა იცის რუსეთმა, რისთვის იღვრება მისი შვილების სისხლი, რისთვის იხარჯება მისი მცირე ქონება? ომის დასაწყისში მას ეუბნებოდნენ უშინაარსო მაღალ-მაღალ ფრაზებს რუსეთის ინტერესების შესახებ შორეულ აღმოსავლეთში; ახლა ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ რუსეთის სახელმწიფოს საწირაო ომის გაგრძელება სრულ დაუძლურებამდე. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი (რაც არ უნდა თქვას ქვემძრომმა პრესამ, რუსეთში არის საზოგადოებრივი აზრი) ვერ გამეორდება ასეთი ეოველად უშინაარსო განმარტებით; იგი დაეჭვებით ითხოვს ომის გამორკვევას და ითხოვს ის ბნელით მოსილი გარემოებანი, რომელთაც მიეფარებიან შორეულ აღმოსავლეთის სისხლით მოცული დრამამდე. საზოგადოების ხმა ამტკიცებს, რომ თქვენც დიდათ ბასუხის მგებელი ხართ იმ ტრემდებისათვის, რომელიც ეხლა იღვრება მთელ რუსეთში როგორც მოოქრილ სასახლეებში, ისე დარიბთა ჭახებშიაც, და დღეს, ჩვენზე მოღწეულ განუზომელ უბედურების წლის თავზე, უოველ რუსს უფლება აქვს მოგითხოვოთ ახლოთ ის ფარდა, რომელიც ფარავს შორეულ აღმოსავლეთში არსებულ ჩვენ ინტერესების დიდ სიიდუმლოს, და დაუფარავად მოგვითხრათ იმ კონცესიების ისტორია, რომლებთანაც დაკავშირებულია

თქვენი სახელი. და თქვენ უთუოთ უნდა შეასრულოთ ეს, თუ მცირეოდნათ მაინც შეგრჩენიათ სამშობლოს წინაშე ვასუხის გების გრძნობა, თუკი გრიბოედოვი და მეშჩერსკი ისტერიკამდე გაკვირვებენ დღევანდელ დღესასწაულ და მოელდაზე, ჩვენც გვსურს გავიგოთ იმათი სახელები, ვინც ბევრად ადრე თავისი პირადი ინტერესები ხალხის ინტერესებთ გამოიყვანა და ასეთი სიმდიდრით ჩაგვეყარა იმ უფსკრულში, რომელიდანაც გამოსვლა ადარ ჩანს".

◆ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების პეტრონებსაც მიეცათ მხარი საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის. გაზეთ „ნ. ვ."-ში მოყვანილია მათი განცხადება: „ეხლანდელი აღელვებული მდგომარეობა რუსეთისა და მრეწველობის გაჭირვებული მდგომარეობა აიძულებს მრეწველთ გამოუცხადონ მთავრობას, რომ რუსეთის ხალხის სულიერი განწყობილება მრისხანე მუქარაა არსებულ წეს-წყობილებისადმი; რომ გვრცხვენია ვერ შევჩერებს მოძრაობას, რომელსაც დრმა ფესვები აქვს ხალხში და რომელიც სულ ახალ-ახალ კვირტს იბამს; რომ რუსეთის მრეწველობის განძლიერება-გამრჯეობა, მრეწველებსა და მუშებ შორის ნორმალური დამოკიდებულების დამყარება და მუშის ეროვნ-ცხოვრების გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, თუ რუსეთში დამყარდებ ელემენტარული ბირობები უფლებრივ სახელმწიფოსა. სხვათა შორის აუცილებლათ საჭიროა:

1. თანასწორობა ყველანი მტკიცე კანონისა წინაშე, რომლის ძალისა და სიწმინდის შერყევა არავის არ უნდა შეეძლოს;

2. პიროვნებისა და მის ბინის სრული ხელ-უხლებლობა;

3. მინიჭება მუშისათვის შეკრების, გაფიცვის, შეკავშირების და ყოველგვარ საზოგადოების შედგენის უფლებისა თავის ინტერესების დასაცველათ.

4. სიტყვის და წერის თავისუფლება, რადგან მხოლოთ ამ გზით შეიძლება მრეწველობის განვითარება, მუშის საჭიროებისა და ინტერესების გამორკვევა, მის ყოფა-ცხოვრების დამდგომარეობის გაუმჯობესება

5. რადგან არსებული კანონ-მდებლობა და წესი მისი შემუშავების; სრულიად არ შეფერება თანამედროვე სახელმწიფო სამართალს, ხალხის მოთხოვნილება და კერძოთ რუსეთის მრეწველობას, აუცილებელია, რომ საკანონმდებლო ნორმების შემუშავებაში მონაწილეობას იღებდენ რუსეთის ყველა კლასების წარმომადგენელნი, მათ შორის მუშებიცა და მრავლებიც; იგივე წარმომადგენელნი აუცილებლათ უნდა იღებდენ მონაწილეობას სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაშიაც, რადგან ეს ხარჯთ-აღრიცხვა სახელმწიფოს უძლიერესი იარაღია სამრეწველო საკითხების გადაწყვეტის საქმეში;

6. საყოველთაო სავალდებულო სწავლა და არსებულ სასკოლო პროგრამების გაფართოება; ვრცელი თავისუფლება პირადი ინიციატივისა (ნებართვის აღების მაგიერ საჭირო იყოს მხოლოთ განცხადება) სკოლების, ბიბლიოთეკების და ყოველგვარ განმანათლებელ დაწესებულებათა დაარსების საქმეში, რადგან ხალხის განათლებაშია ძალა და ძლიერება სახელმწიფოსა და მრეწველობისა: რუსეთ-იაპონიის უბედურმა ომმა მეტათ ცხადათ დაამტკიცა ეს.

◆ ქ. კლუგში გუბერნიის სათვად-აზნაურო კრებამ 9 იანვარს 112 ხმით წინააღმდეგ 55-ისა მიიღო ადრესი, მადლობა-იარლობის მარშლის ობნინსკის მიერ შედგენილი. ამ ადრესში გამოთქმულია იმედი, რომ მთავრობა მიიწვევს ხალხის წარმომადგენლებს სახელმწიფო მუშაობაში მუდმივი მონაწილეობის მისაღებათ. სანამ ობნინსკის ადრესს მიიღებდნენ, გამართულა თვად-აზნაურობის გერძო თათბირი, რომელზედაც ობნინსკის სხვათა შორის უთქვამს:

«კანთავისუფლების სასიხარულო ამბავმა, რომელიც ადექსანდრე მეორემ შეატყობინა სახოგადოებას ბარიზის ხელშეკრულების შემდეგ, დაგვიმა სევასტოპოლის დამარცხების მიერ გამოწვეული გულის-ტკივილი. ეველაფერი იმას მოწმობდა, რომ ეს გაფართხიდება ძლიერათ, რადიკალურათ, იმოქმედ მმართველ კლასებზე.. მაგრამ გავიდა ცოტა დრო და შეეიერი ეველაფერი, სიეარულით მოელოდი იმ ეპოქის მოდგაწეების მიერ, დაწკნენ რეაქციის უინულს ქვეშ, და რუსეთის სინამდვილის ჰორიზონტზე ეველგან მოჩნდა შავბედითი სახე დიმიტრი ტოლსტოისა. ეველაფერი მოიცვა მძიმე ძილმა. როგორც ეოველი ხელოვნურათ გამოწვეული ძილი, ესეც არ იყო მშვიდობიანი და სახელმწიფო ორგანიზმს უშხაპუნებდნენ სულ ახალ-ახალ დამაძინებელ საშუალებას გაძლიერებულ წესის დაცვამდე და იაკუტის მხარეში ადმინისტრატიულ გადასახლებამდე, და ბოლოს დადგა დრო ახალი გაფრთხილებისა. სევასტოპოლის ეპოპეის ნახევარ საუკუნის იუბილეის დღესასწაულობენ პეტრე-პავლეს ციხის ზარბაზნების უტყვიო სროლით-კი არა, არამედ ნამდვილ სამხედრო სროლით შორე-აღმოსავლეთში. გავიდა ერთი წელიწადი ამ სისხლის ქელეხისა, უკიდურეს ძალის მოხმარებისა, ტანჯვისა და დამცირებისა; უკვე მეორე ფლოტი, ეხლა-კი შერცხვენილი, ჩაძირეს ან ასეთქვს მტერს გადაცემულ ბორტ-არტურის ნაბერებთან. ნუ თუ შეიძეგშაც უნდა მოგველოდეს მზგავსი კატასტროფა? ნუ თუ ჩვენი შეიდებიც უნდა აღმოხრდნ ოფიციალური სიცრუისა და ეოველგვარ ძალმომრეობის ატმოსფერაში? ვიქონიოთ იმედი, რომ არა. ვიქონიოთ იმედი, რომ უმალესს ბრძანებაში აღნაშნულ რეფორმებს მალე დასრულებენ და რომ ეს რეფორმები არ იქნება მხოლო იმ უკანონობათა მოსპობა, რომლებითაც ასე შებორკილი იყო ჩვენი ცხოვრება. ამ მხრივ ეველაზე საეურადღებო არის ზრუნვა მუშებზე და გლეხების კათანასწორება სხვა წოდებასთან, და ჩვენ ვხსურები, საიმოვნებით ვეგებებით ასეთ დაწყებულებას. ბოლოს დადგება ისეთი დრო, როცა ეერავინ გვისეედურებს ჩვენ ბრალდებებს, როცა ხსნაურის ქვეშ ხდება სინონიმი მოქალაქის ქვეშობისა.»

მერცხლების სიმღერა.

იმედის ტალღამ გულს დაკრა,
სიმებმა დაიწკრიალეს,
ბაღში იფეთქა კოკორმა,
მერცხლებმა შეიფრთხიალეს.

—

თანაც მღერიან ჩიკჩიკით:
„ზღვა ღელავს ქარიშხალია,
და გაზაფხულის შემქნელიც
მხოლოთ მის ძალთა ძალია!

—

მას დავთამაშებთ, მის ზვირთებს
გულით ვეკერებით, ვსრიალებთ,
მივფრინავთ განთიადისკენ,
მანძილი გამოვიარეთ.

—

გემს მივდევთ, ტალღა-ტალღაზე
შემოესრავს, ვიცით, იალქანს
და ქარიშხალი მის ანძას
დაკრავს და სალ-კლდეს მიარტყამს!

—

მაშინ ჩადგება გრიგალი,
ზღვაც მხოლოთ მაშინ დაცხრება,
როს მოშლილ გემის ნაფოტი
ჰაერში გაიფანტება!

—

მანამდისინ-კი ხომალდსა
მივდევთ მომწყვდეულს ზვირთებში,
ვიცით, რო ბოლო მოელის,
მალე გარიყავს კიდეში!

—

მიტომ გულს დაკრა ტალღამა
იმედმა დაიფრთხიალა,
რომ ბრძოლაშია მხოლოთა
მშვიდობის ტკბილი ფიალა!".

—

ასე მღერიან მერცხლები,
ზღვა კი ქუხს, ღელავს, ღრიალებს,
აფრა იხევა, ანძა თრთის,
გემი უკუღმა ტრიალებს!

ი. ევდოშვილი.

თაგუნას ზღაპარი.

მე თაგვი გახლავარ, წრუწუნა—თაგუნა. ბნელეთში ვცხოვრობ, იატაკ-ქვეშ. არ გეგონოთ, რომ სინათლეს გავურბოდე! სრულიადაც არა! ბარემ მეც ძალიან მიყვარს სინათლე, მაგრამ, რა გაეწყობა, როდესაც,—ამოვყობ თუ არა ჩემ წვეტიან ცხვირს ჰუპრუტანაში სინათლის დასანახავათ, საზარელი ჩხავანა—კატა ისეთ ნაირათ დაელავს ხოლმე თვალებით, რომ იძულებული ვარ უკანვე ჩავცუნცულდე, იატაკ-ქვეშ. მერე რამდენი ჩემისანა თაგუნა გამხდარა მისი წვეტიანი კლანჭების და ბასრი კბილების მსხვერპლათ! ოჰ! რა მეჯავრება ის საძაგელი! ღამ-ღამობით კი, როცა ჩხავანას ჩაეძინება, ფეხ-აკრეფით ამოვდივარ იატაკზე და სადმე კუნჭულში მიმალული, ყურს ვუგდებ მოხუც ბებიას, რომელიც უცნაურ ზღაპრებს უამბობს ხოლმე თავის პატარა შვილიშვილებს. უზღაპროთ იგინი როდი დაიძინებენ! ძალიან შეიყვარდა ბებიას ზღაპრები და, ვაი თუ ჩხავანა კატამ წამამწაროს მათი ყურის გდება! ახლა ამბობენ, კატა საშინლათ დაუძლურდაო, და მეც იმიტომ ვბედავ ასე ხმა მაღლა ლაპარაკს. ეს ზღაპარი ბებიას ნათქვამია და მინდა სხვებსაც გავუზიარო.

აბა ყური დამიგდეთ, თაგვებო, და თუ მოგეწონებათ შემდეგშიაც გიამბობთ.

მზე-ქალი.

ადამიანის ძენი იყვენ ყველა ისინი, მშობლები კი არ ახსოვდათ.

ლომის სიმამაცე და გაბედულობა, ვეფხის სიცქვიტე, ქარის თავისუფლება და თვითნებობა,—აი მათი თვისებები.

მაინც მიწის შვილები იყვენ და მიწასაც დედა-მიწა უწოდეს.

მხოლოთ ერთი მათგანი არ იყო მიწის შვილი—მზეთუნახავი, მოკაშკაშე—ქალი.

უშვენიერესი ვარსკვლავი ზეცის გაღეღილ მკერდზე მომწყდარიყო და, ქალათ ქცეული, დედამიწაზე დავარდნილიყო.

მარმარილოს ქანდაკებას გავდა მისი ახოვანი ტანი.

მისი თვალები ზღვა იყო.

მაგრამ ბობოქარი და მღელვარე ზღვა კი არა!

ზღვა წყნარი, ღრმა, უფსკერ-უკიდო;

როდესაც ლურჯი ზეცის გუმბათი იცქირება მასში და ბრწყინვალე მზე თავის გახურებულ სხივებს აბანავებს მის გრილ სიღრმეში.

ის კი—ზღვა—იღიმება და წყნარათ შეხარის მზის და ზეცის სილამაზეს.

მარმარილოს ბეჭებს საუცხოვო ნაზი ფრთები უშვენებდენ:

ფერადი ფრთები—ისეთი, როგორიც გაზაფხულის ნაზ პეპელებს აქვთ ხოლმე.

მზე-ქალი უწოდეს მას ადამიანებმა.

მზე-ქალი ზეციერი იყო, ადამიანები კი მიწიერები.

და ზეციერი ცხოვრობდა მიწიერთა შორის.

ყველანი შეხაროდენ მზე-ქალსა და ვერ წარმოედგინათ უიმისოთ ცხოვრება.

მზე-ქალიც დახაროდა მათ და ერთ ნაირათ უღიმოდა თითეულს მათგანს და ყველას ერთათ.

ბედნიერი იყო მზე-ქალი, რადგან ყველას უყვარდა იგი უსაზღვროთ და უანგარო სიყვარულით.

ბედნიერები იყვენ ადამიანებიც—ლომებრ მამაცნი და უშიშარნი, ვეფხივით სწრაფნი, ქარივით თავისუფალნი.

ცხრა მთას იქით ცხოვრობდა ასთავიანი დევი.

ჯოჯოხეთივით სასტიკი და სიკვდილივით დაუნდობელი.

ჯურღმული იყო მისი ბინა, უმანკო სისხლით იკვებებოდა და თვით სათაელს ეჭომაგებოდა ცბიერებაში.

მგლები, დათვები, გველები და ვეშაპები ფეხს ულოკავდენ საზიზღარ დევს და მლიქვნელობდენ წინაშე მისი ძლიერებისა.

მას კი ყველანი სძულდა გარდა თავის თავისა.

შეშურდა ასთავიან დევს ადამიანთა ბედნიერი ცხოვრება.

გადმოიარა ცხრა მთაი და მივიდა იქ, საცა ცხოვრობდენ მზე-ქალი და ადამიანები.

თვალი მოკრა მზე-ქალსა და აუტოკდა ღვარძლიანი გული.

— რათ უნდა მზე-ქალი ადამიანებს? ფიქრობდა დევი.

— უიმისოთაც კარგათ იცხოვრებენ იგინი.

იქცა დევი ლამაზ ყმაწვილათ და მივიდა მზე-ქალთან.

თაყვანი სცა ცბიერმა და ეამბორა მის ფეხთა მტვერსა.

— მოციმციმე ვარსკვლავო ზეციერო! სამოთხის ასულო, მზეთა-მზეო, მნათობო, სიხარულო და ნეტარებავ! ცხრა მთაი გადმოვიარე მშიერ-მწყურვალმა და უსუსურმა ჰაბუკმა შენი სიკეკლუცის სახილავათ... ის ღა დამჩენია სანანებლათ და სავალალოთ, რომ ორი თვალი მაქ და არა ორასი, რომ უფრო-დავტკბე შენი შვენიერების ცქერით... იმას-ღა ვწუხვარ, რომ ერთი ენა მაქ, და არა ასი, რომ ღირსეულათ ვაქო და ვადიდო შენი შვენება...

ეუბნებოდა ჰაბუკათ ქცეული დევი, გულ-ღვარძლიანი, ჯოჯოხეთივით სასტიკი და სიკვდილივით დაუნდობელი ეთერის მსგავსს გულთა—გულს —მზე-ქალსა.

მხოლოთ მაშინ მიხვდა მზე-ქალი თავის უბედურებას, როცა უწმინდურმა დევმა სისხლიანი ხელები მოხვია მის ალვა—ტანს.

რკინის სალტებივით შემოერტყა დევის ხელები და სული შეუხუთა.

— თავისუფალნო ადამიანებო!.. ჩემი თავი წაგართვეს... იღუპებით... მიშველეთ!

ამოწყდა სპეტაკ გულიდან შეშინებული და სასოწარკვეთილი ხმა მზე-ქალსა.

გვიან-ღა იყო.

ადამიანები დაძაბუნდენ, მოდუნდენ, მონათ იქცენ, რადგან მზე-ქალი შეპყრობილი იყო. ლომივით გულადნი—კურდღელივით მხდალნი შეიქნენ. ვეფხივით სწრაფნი—ჭიასავით მხოხავათ გადიქცენ.

ქარივით თავისუფალნი—მონებათ გახდენ.

პირქვე დაემხო სუყველა და თაყვანი სცა დევს.

— ჩვენ შენი ფეხთა მტვერი ვართ! მოგვეჭეც ისე, როგორც შენი ნება იყოს.

კანკალით ეუბნებოდენ დაჩოქილები გულ-ზვიად დევსა.

— ხა-ხა-ხა-ხა!

ხარხარებდა საზიზღარი დევი და ათასი საყვირის ხმასავით ისმოდა მისი საზარელი ხარხარი.

მზე-ქალი კი შეპყრობილი, დასუსტებული უღონოთ აჭანებდა თავის ფერად ფრთებს და მისი ცრემლები, მარგალიტათ ქცეულნი, ღაპაღუპით ჩამორბოდენ მიმკრთალებულ ლოყებზე.

ადამიანები კი პირქვე დამხობილი იყვენ და შიშისაგან ვეღარ გაებედათ ზევით ახედვა.

ბოროტმა დევმა მათ მხეცები მიუსია:

დათვები, მგელები, გველები და ვეშაპები დაერიენ უდანაშაულო ადამიანებს.

დადგა სისხლის ღვარი, რომელშიაც იხრჩობოდა ხალხი.

ამ სისხლით, უმანკო, სისხლით დევი იკვებებოდა.

დაძაბუნებული ადამიანები კი გაიძახოდენ:

— იყოს ნება ღვთისა და მეფეთ მეფის—უძლეველი დევისაო.

გავიდა დრო და ჟამი.

სისხლის მორევში ცურავდენ ადამიანები და მხეცები შეუბრალებლათ დათარეშობდენ მათ შორის.

მურტალი დევი კმაყოფილი იყო, რადგან ადამიანების ტანჯვა მის ბედნიერებას ნიშნავდა.

მზე-ქალი კი ცხრა კილტულში ჩაკეტა მან და ვეშაპები მიუყენა მცველებათ.

დაუწყლულდა გული და დაეტანჯა სული ადამიანებს.

მიხვდენ, თუ რას ნიშნავდა მათთვის მზე-ქალის დატყვევება და დევის ბატონობა.

მიხვდენ და მოენატრათ მზე-ქალი, მაგრამ დაძაბუნებული და დამონავებული იყვენ და ვერაფერს ბედავდენ.

მხოლოთ ასში ერთი თუ გამოერეოდა გულადი და დაიძახებდა:

— ძმებო! გვეყოფა ტანჯვა-წვალება! დროა დავიხსნათ მზე-ქალიო!

შიშით შეპყრობილი ძმები თითონვე ჩააჩუმებდენ მის კეთილშობილურ ხმას და სიცოცლესაც უსპობდენ გულად ძმას.

და ასე: ძმა ძმის სისხლსა ღვრიდა და დევს კი უხაროდა და ხარხარებდა.

გავიდა კიდევ დრო და ჟამი. უფრო აუტანელი შეიქნა ადამიანთა ცხოვრება და უფრო გაძლიერდა მათი სურვილი მზე-ქალის დახსნისა.

ახლა მაღლა გაისმა ხმა მრავალ დატანჯულთა.

შეკრთა ას-თავიანი დევი. ბრაზ-მორეულმა მიუსია უთვალავი მხეცები და ჩააჩუმა თავხედები.

წითლათ შეიღება არე-მარე. კვნესა და გოდება თვით ზეცაჰდი აღწევდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაებედათ პირდაპირ შებრძოლება ძლიერ დევთან.

ვერ შეარყიეს ძლიერება ას-თავიანისა.

მზე-ქალი კი ცხრა კილტულში იჯდა.

ესმოდა უმოწყალო ყლეტის ხმა, მწარე ქვითინი და გოდება ადამიანთა და სუსტათ აქანებდა თავის ლამაზ ფრთებს.

ის შეეეედრა ლურჯ ზეცას, რომლის მკერდზე უხმოთ დაცურავდა მრავალი მნათობი:

— ხომ გესმის ყველაფერი! მიეც ძალი ადამიანთა, რომ დამიხსნან აქედანო.

ისმინა ზეცამ თავის შვილის ვედრება.

მოიწყვიტა მოქარგულ საკინძზე პატარა მოციმციმე ვარსკვლავი და ოქროს ჩიტათ ქცეული ადამიანებს წარუგზავნა.

მწვანე ხეს შემოჯდა ოქროს ჩიტი და იწყო საამური გალობა.

თითეული ხმა გალობისა ცეცხლის წვეთივით ეცემოდა ადამიანებს გულში და ბრძოლის წყურვილს უღვიძებდა.

იგრძნო დევმა, რომ საფრთხე მოელოდა.

უფრო გაუძლიერა დარაჯები მზე-ქალსა და მეტი მხეცები მიუსია ადამიანებს.

გვიან-ღა იყო.

აზვირთებულ ზღვასავით საშიში შეიქნა შეერთებული ძალა ადამიანებისა.

ვერავითარი კლდე ვეღარ შეაკავებდა მის აჭაფებულ ტალღებს.

იკადრა დევმა გაქცევა.

მაგრამ სად გაიქცეოდა!

კოჭებში გამოუდგენ მას და იქ ჩაარჩვეს, იმ ჯურღმულში, სადაც წინათ ბინა ჰქონდა. ეცენ ცხრა კილტულს, შეამტვრიეს და გამოიყვანეს კეკლუცი მზე-ქალი. გაიღიმა მზე-ქალი და ნაზათ გაშალა ფერადი ფრთები.

თავისუფლათ ამოისუნთქეს ადამიანებმა და იწყეს ბედნიერი ცხოვრება...

მოხუცმა ბებიამ ბევრათ უფრო კარგათ უამბო ეს ზღაპარი თავის პატარა ბადიშებს, მარა, რა გაეწყობა! ასეც რომ გადმოგეცი, ის კი არ გიკვირთ? მე იმიტომ მომეწონა ეს ზღაპარი, რომ ჩვენ ცხოვრებას ძალიან გავს, არა თაგვებო? წარმოიდგინეთ, ვითომც ის ას-თავიანი დევი ჩხავანა კატა იყოს და ადამიანები კი-ჩვენ, მაგრამ ჰზე-ქალი ვინ-ლა არის? მე პატარა ვარ, ქვეყნის არაფერი გამეგება და, ვინ იცის, ეგებ ჩვენც გვყავდა ოდესმე მზე-ქალი?

თაგვებო! თუ ვინმემ იცით შემატყობინეთ.

თაგუნა.

დღევანდელი სიტყვა-კამათული მწერლობის როლი და მნიშვნელობა.

„ამაო ამაოებათა ყოველივე ამაოა“, ამბობს მოხუცი ბრძენი სოლომონი.—დასტკბით სიცოცხლით, იგემეთ ყოველ გვარი სიტკბოება-სიამოვნებაო, ამბობს ეპიკური.—ფუჭი და წარმავალია ყოველივე ბედნიერება არსად არ არსებობსო, მოგვითხრობენ შოპენგაუერი და ჰარტმანი. ერთი სიტყვით, მთელი ისტორიის ამოდენა მანძილზე ვერ შეხვდებით ორს იმისთანა ნიჭს, რომლებიც ერთნაირათ უყურებდენ ცხოვრებას. ყოველი ჩვენგანი კი გრძნობს, რომ სიცოცხლე უდიდესი, შეუდარებელი ბედნიერებაა, ცხოვრება—უდიდესი, შეუდარებელი სიამოვნებაა; სულთმობრძავი მეფე გულის სილრმეში შენატრის იმ ქუჩის მაწანწალას, ნაფლეთებში გახვეულს, რომელსაც საღი აგებულების მეტი არაფერი აბადია რა. გადაავლეთ თვალი კაცობრიობის ისტორიას და დარწმუნდებით, რომ უმეტეს შემთხვევაში დიდი უმრავლესობისათვის ეს უდიდესი ბედნიერება უბედურების დაუშრეტელ წყაროთ გადაქცეულა და ეს შეუდარებელი სიამოვნება ისეთ აუტანელ ტანჯვათ და ვაებათ, რომ ხშირათ გაისმის ყოველ კუთხიდან: ღმერთო, როდის მოელება ბოლო ჩემს ტანჯულ ცხოვრებასო.

შეშინებულმა და გულ-გატეხილმა ადამიანმა ოცნებას მისცა თავი; დედამიწა და ეს ცხოვრება უარჰყო და შორს—ზეცა დაასახლა ანგელოზებით და ღმერთით; ეს ქვეყანა ადამიანთა გამოსაცდელათ, გაბმულ ბადეთ დასახა და თავს ინუგეშებს იმ სამოთხეთი, რომელიც იქ, სადღაც შორს არის და რომელიც მას სიკვდილს შემდეგ მოელის.

ცხადია, აქ რაღაც შეცდომაა: ან ცხოვრება მართლაც ტანჯვაა თავის თავათ, ან ადამიანმა გაურია ამ სიამოვნებაში ძირ-მწარე. გადაავლეთ თვალი, ერთი მხრით, ამწუანებულ ჭალას გაზაფხულის მზიან დღეს, მეორე მხრით ყველა ნორჩი ცხოველების ბუნებას და ცხოვრებას, შემდეგ კაცობრიობის მოქმედებას ისტორიის განმავლობაში.

სულ უბრალო ყვავილსაც რომ შეხედოთ მინდორში, იმის ფოთლებზედაც მხიარულება და სიცოცხლის სიტკბოებაა აღბეჭდილი; ჩიტების ჭიკჭიკი, ფოთლების შრიალი, მდი-

ნარის რუხ-რუხი, მწერთა სისინი,—ყოველივე საერთო ბედნიერების, საერთო ნეტარების მატარებელია. შეადარეთ პატარა ბავში, პატარა ხბო, ბატკანი და გოჭი ერთმანერთს; მათს ცხოვრებაში დიდ მზგავსებასა პოებთ, ყველა ესენი იძინებენ მხოლოთ იმიტომ, რომ დაისვენონ და მზის სხივებს მოკლენარის სახით შეეგებონ, რომ ხელახალი სიამოვნება, ხელახალი ბედნიერება გამოართვან მიმდინარე დღეს; სიხარულის მეტი მათს გულში არაფერია, მხიარულების მეტს ისინი არაფერს ეძებენ; თუ კუჭი არ აწუხებთ, ისინი ყოველის ფრით კმაყოფილი, ყოველის ფრით ბედნიერნი არიან; ბედნიერებით მოკანკულნი ისვენებენ, რომ ხელ-ახალი ბედნიერებისათვის ძალ-ღონე მოიკრიბონ. გაზაფხულის უსულო ბუნება და ნორჩი სულიერი არსებანი წარმოადგენენ გაურკვნელ სიცოცხლეს ცხოვრების წმინდა სათავეში; ის, ვინც დაუკვირდება ამგვარ სურათებს, დამეთანხმება, რომ სიცოცხლე წმინდა, გაურკვნელი, მართლაც უდიდესი ბედნიერებაა და ცხოვრება წმინდა, გაურკვნელი, უდიდესი სიტკბოება და ნეტარებაა. ახლა გადაავლეთ თვალი კაცობრიობას და დარწმუნდებით, რათ გადააქცია მან ეს ცხოვრება. კაცობრიობამ შექმნა მონობა და მონებით ვაჭრობა, კაცობრიობამ შექმნა ყმა და ყმების გაყიდვა, კაცობრიობამ შექმნა ომი და სისხლის ღვრა, კაცობრიობამ შექმნა სიმდიდრე და სიღარიბე და მრავალი სხვა იმგვარი პირობები, რომელთა წყალობით ზოგი თავს იკლავს, ზოგთა კლავენ, ზოგს აღრჩობენ, ზოგს ხვრეტენ ტყვიით და სხვა.

ამგვარათ ადამიანმა თვითონვე გადააქცია თვისი სიცოცხლე უბედურებათ და თვისი ცხოვრება ტანჯვა-ვაების წყაროთ.

ადამიანის სიცოცხლე მეტათ ხანმოკლეა. მთელ მარადისობაში ყოველ ჩვენგანს ერთხელ გვეძლევა აზრი და გრძნობა. ბუნების ცვალებადობას, სამყაროს არსებობას, დროს არავითარი დასასრული არ ექნება და ასეთ თვალ-გადუწვდენელ ჯურღმულში რამდენიმე ათეული წელიწადი, რომლითაც ადამიანის სიცოცხლე განისაზღვრება, ელვასავით მალე ქრება. ასეთ პირობებში ადამიანი ცდილობს, ამ მოკლე დროთი რაც შეიძლება აზრიანათ ისარგებლოს და აზრიანათ იცხოვროს, ე. ი. ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, რომ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება და კმაყოფილება მოუპოვოს როგორც თავის სულს, ისე თავის ხორცს. უფრო მარტივათ რომ ვთქვათ, ასეთ პირობებში ადამიანი ცდილობს, ისე იცხოვროს, რომ რაც შეიძლება მეტი ბედნიერება მოიპოვოს. მაგრამ ბედნიერება ქარს არ მოაქვს ციდან, არც მიწიდან ამოდის მძლავრი ნაკადულივით, რომ ყველას სათრობათ ეყოს; მას შექმნა უნდა ქვეყანაზედვე, ადამიანთა საზოგადოებაში. აი აქ იწყება საფუძველი ყოველგვარი საზოგადოებრივი უთანხმოებისა და უსამართლობისა. ბუნებისაგან რომ ისე იყოს გაწესებული, რომ ყოველ ადამიანს ცალკე პატარა ციაგი ეძლეოდეს საცხოვრებლათ და სრულ კუთვნილებათ ისე, რომ ადამიანი ადამიანს არსად არაფერში შეეყრებოდეს, ცხოვრების ბედნიერათ მოწყობა მეტათ ადვილი და მარტივი კითხვა იქნებოდა. არავითარი უფლებანი, არავითარი კანონები, არავითარი ზნეობრივი კოდექსები აღარავისათვის იქნებოდა საჭირო. ყოველი ადამიანი თვითონ მოაწყობდა თავის ცხოვრებას ისე, როგორც მის გემოვნებასა და ბედნიერების საზომს შეეფერებოდა. მაგრამ ყველა ახლო-ახლოსა ვართ შეჯგუფული, ყველა ერთათა ვცხოვრობთ. ამ საერთო ცხოვრებას ეწოდება საზოგადოებრივი ცხოვრება. რა ინსტინქტებით, რა მისწრაფებით შემოდგა ფეხი ადამიანმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ადამიანის უმთავრესი ინსტინქტი საკუთარი თავის სიყვარულია; მისი უმთავრესი მისწრაფებანი საკუთარი ბედნიერების მოპოვებაა. მაგრამ ერთათ ცხოვრება და პირადი ეგოიზმი საზოგადოებაში ამეფებენ აუცილებლათ მუშტის ძალას. მუშტის ძალა კი ბადავს ერთისაგან მეორის დაჩაგვრას, ძალ-მომრეობას, ათასგვარ უსამართლობას, ერთის ბედნიერების მეორეს უბედურებაზე აგებას და სხვ. ამგვარათ, საერთო ბედნიერება ქრება და მის ალაგას მეფდება ძალმომრეობით გამაგრებული უმცირესობის ბედნიერება უმეტესობის უბედურებაზე. დროთა განმავლობაში საზოგადოების მცირე ნაწილი ბატონდება და იმონავებს უმეტესობას. უკანასკნელმა უნდა იშრომოს მთელი თავისი სიცოცხლე, უსიამოვნოთ დალიოს დღენი მხოლოთ იმისთვის, რომ გაბატონებულ ნაწილს საშუალება მიცეს, უსაქმურათ და სრულ განცხრომა-ფუფუნებაში გაატაროს თავისი წუთისოფელი. თვისი ნებით მონათ არავინ არა ხდება, ამიტომ გაბატონებული ნაწილი ყოველგვარ ძალდატანებას ხმარობს, რომ დამონავებულმა ხელები არ აიშვას. ბედნიერება და განცხრომა იმგვარი თვისების საჭმელია, რომელმაც გაძღომა არ იცის: რაც უფრო მეტსა ჭამთ, იმდენი უფრო და უფრო მეტი გინდათ. ამიტომ რაც უფრო მძლავრია გაბატონებულთა მისწრაფება განცხრომასა და ფუფუნებისაკენ, მით უფრო ძლიერია დამონავებულთა ალაგმვა და შევიწროება: ყოველგვარი ზომაა მიღებული, რომ უკანასკნელებმა გაადამიანება არ იფიქრონ და დაკმაყოფილდენ მხოლოთ პირუტყვის მდგომარეობით. ბიბლია მოგვითხრობს ერთი ჯორის შესახებ, რომელმაც ენა ამოიდგა, როცა ნამეტანი გაუჭირდა. თუმცა ადამიანს ამ საბრალო ჯორზე გაცილებით მეტი მოთმენა აქვს და ენას სულ ყველა კბილებს უჭერს მაგრათ მაშინ, როდესაც მას მისივე ხელით ტყავს აძრობენ, მაგრამ არის ცხოვრებაში იმგვარი მომენტები, როდესაც ეს ყოველად მთმენი ორფეხიც ენას ამოიდგამს ხოლმე. ერთ-ერთ ამგვარ მომენტს წარმოადგენს დღევანდელი დღე.

რას წარმოადგენს დღევანდელი საზოგადოება? როგორი ნაწილებისაგან შედგება ის? დავიწყოთ თავიდან.

ცხოვრების სათავეში დგას ეგრეთ წოდებული ბიუროკრატია. დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი სიმძიმე ხალხს აწევს კისერზე და ამიტომ მისი მდგომარეობაც ყველაზე უფრო აუტანელია. მის მხრებზე შემდგარია რამოდენიმე სართულათ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილი; ყველა ამ ნაწილის წევრების მადა და ფუფუნებისა და განცხრომის წყურვილი დიდია, ყველას წყურვილი კი ამ ხალხმა უნდა დააკმაყოფილოს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ხალხი ყველა დანარჩენ ნაწილებზე გაცილებით მეტია, აქედან ისიც ცხადი იქნება, რომ დღევანდელ საზოგადოებაში უმეტესი ნაწილის ცხოვრება ბედნიერების ნიშან-წყალს მოკლებულია. რომელი დროც უნდა აიღოთ და რომელი საზოგადოებაც, ყველგან ერთ და იმავე სურათს შეხვდებით: უმეტესობას მონობის უღელი ედგა კისერზე და ბედნიერი მონა ხომ აბსურდია—შეუძლებელია. ამგვარ პირობებში რა არის საჭირო, რომ კაცობრიობამ თავისი ცხოვრება შესაძლებელი ბედნიერებისაკენ მიმართოს? ამისათვის საჭიროა, რომ საზოგადოების უმეტესობამ ანუ ხალხმა მძიმე ტვირთი მოიშოროს და სრული და განუსაზღვრელი თავისუფლება მოიპოვოს, ე. ი. საჭიროა თავდაპირველათ, რომ საზოგადოება განთავისუფლდეს.

რა ახასიათებს თავისუფალ საზოგადოებას?

უპირველესათ საზოგადოების თავისუფლება გამოიხატება იმაში, რომ ის არავის არ ემორჩილება, მას არავითარი ბატონ-პატრონი არა ყავს, არავითარი მბრძანებელი—ის თვითონ არის მბრძანებელი. ამგვარ საზოგადოებაში წევრთა შორის სრული თანასწორობა და თავის უფლება არსებობს, წოდებრივი და კლასობრივი პრივილეგიები სრულებით უარყოფილია და ყველა ემორჩილება საერთოთ შექმნილ და საერ-

თო კანტროლის ქვეშ მომქმედ კანონს; ყოველივე ეს კი თავისთავათ მოითხოვს აზრის, სიტყვის, სინიდისის სრულ თავისუფლებას; ყოველ წევრს ამგვარი საზოგადოებისას საშუალება ეძლევა თანამედროვე კულტურული განვითარებისათვის; ყოველი წევრი განურჩევლათ სქესისა, ნიჭისა, წლოვანებისა და მოქმედებისა ცხოვრების მხრივ უზრუნველ-ყოფილია. ჯერ-ჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ. დღევანდელ საზოგადოებაში ვერ ნახავთ ვერაფერს იმის მზგავსს, რაც აქ ჩამოვთვალეთ. ამგვარათ ცხადია, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები არ შეიცვალენ, უმეტესობის ბედნიერება და ადამიანური ცხოვრება ყოვლათ შეუძლებელია. ვინ უნდა შეცვალოს ეს პირობები? ბიუროკრატიამ? ბიუროკრატია ამ პირობებს არ შეცვლის იმიტომ, რომ თვისი თავის მტერი მხოლოთ ბრიყვი და სულელია. ბიუროკრატიის მთელი არსებობა, ბედნიერება სწორეთ დღევანდელი ცხოვრების პირობებზეა აგებული და ერთი მითხარით, რა გიჟი იქნება, ქუდი მოიხადოს და ხალხს მოახსენოს: ჩვენ გვეყო ბატონობა, ახლა თქვენ იბატონეთო! არა, ბიუროკრატია იმდენათ ჭკვიანია, რომ ამას არ იზამს, ხოლო ისინი კი, ვინც ბანკეტებსა მართავენ, სხვადასხვა რეზოლიუციებსა წერენ, მაგარ-მაგარ სიტყვებს არახუნებენ სასტუმროების დარბაზებში, იმდენათ გულუბრყვილონი არიან, რომ ჯერათ, ვითომ ქაღალდი და ფრაზები ცხოვრების პირობებსა ცვლიდეს.

ცხადია, არსებული ცხოვრების პირობანი უნდა შეცვალოს მან, ვისი ცხოვრების ინტერესებიც ამას მოითხოვენ, ე. ი. ხალხმა. ხალხი ყოველთვინ და ყოველ დროს ძლეველი ძალაა, ყოვლის შემძლებელი ცხოვრებაში, მაგრამ უბედურება ერთის მხრით იმაშია, რომ ხალხს გარკვეული შეხედულება არა აქვს არც ცხოვრებაზე, არც თავის საკუთარ ძალაზე; მეორე მხრით უბედურება ის არის, რომ ეს ძალა დაქსაქსულია; დაქსაქსული ძალა კი სუსტი ძალაა. ამიტომ თავდა პირველათ საჭიროა მეტი შეგნების, მეტი სინათლის შეტანა ხალხში და შესაფერისი ორგანიზაცია. ვინ უნდა იდვას ასეთი როლი კისრათ? ხალხისავე შეგნებულმა ნაწილმა. ამ ნაწილს ორი გზა აქვს ზემოთ აღნიშნული მიზნის განსახორციელებლათ: მწერლობა და პრაქტიკული მოქმედება. ამგვარათ ჩვენ მივუახლოვდით იმ კითხვას, რომელიც სათაურში აქვს ჩვენ წერილს: რა მნიშვნელობა აქვს დღეს მწერლობას ანუ მწერლობის სპეციალურ დარგს—სიტყვა-კაზმულ ნაწილს. დღევანდელი საზოგადოება, გეოლოგიური ენით რომ ვთქვათ, რამდენიმე წყობას წარმოადგენს; ყოველ წყობას თავისი მწერლობა აქვს, მაგრამ პროგრესისათვის, საერთო ბედნიერების მოწყობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოთ ხალხის მწერლობას. აქ მე ხალხურ ნაწარმოებს კი არ ვგულისხმობ, არამედ იმ მწერლობას და იმ მწერლებს, რომლებიც ხალხის—უმეტესობის ინტერესს და ბედიღბალს ემსახურებიან.

თუ სიტყვა-კაზმული მწერლობა ეცდება დღევანდელი ცხოვრების დასურათებით ხალხს შეაგნებიოს, თუ როგორია მისი ცხოვრება და როგორი უნდა იყოს, ადრე თუ გვიან დაჩაგრული მდგომარეობიდან განთავისუფლების სურვილი აღიძვრის, ტალღათ იქცევა და ხალხის ტალღა ძლიერია: ის მალე შეუჩერებლათ წალეკავს უსუფთაობას და ცხოვრებას გაწმენდს. ამგვარ მიზანს გარეშე დღეს ჩვენში სიტყვა-კაზმულ მწერლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გარდა იმისა, რომ გათხოვების მომლოდინე ქალიშვილები გულის ფანცქალით გადაფურცლავენ, თუ სიყვარული და თაყვის მოკვლა მაინც იქნა შიგ. მე მეტყვიან, ამგვარი მიმართულება ცალმხრივია, ვიწრიაო; ყოველ გვარი ცალ-ხმრივობა კი ახშობს და კლავს მწერლობას, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს და უტილიტარიზმს არ უნდა ემსახურებოდესო. მწერლობა, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრებას უნდა შეეფერებოდეს და ცხოვრებას ემსახურებოდეს. იქ სადაც ადამიანი არ არის თავისუფალი, მწერლობასაც არ შეუძლია საზოგადოებრივ სარგებლობას გვერდი აუაროს. როდესაც თვით ცხოვრება მოითხოვს ტენდენციას, მწერლობაც ტენდენციური უნდა იყოს. და როდესაც საზოგადოება და ადამიანი განთავისუფლდებიან, მაშინ მწერლობასაც შეუძლია, სხვა გზა უფრო—ფართო, უფრო ვრცელი აირჩიოს.

ივ. გომართელი.

დღევანდელი სამართალი.

საზოგადოებაში მხოლოთ მაშინ შეიძლება დამყარდეს წესიერება, როდესაც საზოგადოების ყველა ნაწილი ერთნაირათ ემორჩილება და აფასებს კანონს. როდესაც კანონი ერთისთვის არსებობს და მეორესთვის არა, მაშინ კანონზე და სამართალზე ლაპარაკი არ შეიძლება.—ყველამ იცის, რომ გაუსამართლებლათ კაცი არ უნდა დაისაჯოს, კაცმა უნდა იცოდეს რისთვის სჯიან მას, რას აბრალებენ, რომ შეეძლოს თავის გამართლება—ეს არის უფლება ყოველივე მოქალაქისა, ყოველიეე საზოგადოების წევრისა. მაგრამ, საუბედუროთ, ეს უფლება ირღვევა და ფეხით ითელება დღეს.

ზიხართ თქვენთვის სახლში, გჯონიათ, რომ თქვენი მშვიდობიანობა უზრუნველყოფილია; შემოდის პოლიცია და კანონის ძალით, როგორც საზოგადოების მავნე წევრს, გაპატიმრებს. უმრავლესობის საქმე სასამართლოს კარებამდე ვერ მიაღწევს და თუ მიაღწია—იქაც არა ხართ უზრუნველყოფილი: საქმე გაირჩევა ჩუმათ, საზოგადოების დაუსწრებლათ, სასამართლოს კარ-ჩაკეტილ დარბაზში.

სასამართლო, რომელიც ყველასაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომელიც უნდა არჩევდეს საქმეს დაკვირვებით, ფუძნებდეს თავის განაჩენს კანონზე, წყვეტდეს საქმეს პირუთვნელათ, მიუდგომლათ, კანონიერათ, დღეს დამოკიდებულია სხვისგან. თვით სენატი, რომელიც სასამართლოს უმაღლესი დაწესებულებაა, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს სასამართლოებს, რომ ამ უკანასკნელებმა სამართლის პრინციპები არ შებღალონ, ვერ აცდენია დღეს გაბატონებულ ადმინისტრატიულ შეხედულებას.

ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ვინმე კონოვალოვის ცოლს ქმრის მკვლელობა ბრალდებოდა. ეს საქმე ოლქის სასამართლომ გააჩნია. ნაფიც-მსაჯულებმა ქმრის მომკვლელი ქალი უდანაშაულოთ იცნეს და გაამართლეს. ამ საქმის შესახებ ბრალმდებელმა სენატში პროტესტი გადაიტანა. თავის პროტესტში იგი ამტკიცებდა, რომ ბრალდებულის დამცველებს უფლება არა ჰქონდათ ელაპარაკნათ „რომ იმათ ორი თვის განმავლობაში კარგათ შეისწავლეს ბრალდებულის თვისება და ხასიათი და დარწმუნდენ, რომ კონოვალოვის ცოლი მეტათ სუსტი ხასიათის არსება არისო, რომ მას ადვილათ დაიმორჩილებს კაცი და მოიპოვებს გაგიჟებასო". ბრალმდებელის აზრს სენატი სრულებით დაეთანხმა და ოლქის სასამართლოს განაჩენი გააუქმა. როგორ დაასაბუთა სენატმა თავის განაჩენი, აქ ჩვენთვის საინტერესო არ არის; საინტერესო მხოლოთ ფაქტია და ფაქტი კი იმას ცხადებს, რომ ხშირათ სენატიც კი არ აძლევს ბრალდებულს ყოველგვარ თავის გასამართლებელ საშუალებას, როგორც ამას თხოულობს სისჯელთა წესდების 612 მუხლი*).

საინტერესოა აგრეთვე ხოზანოვების საქმის შესახებ სენატის განაჩენი. ხოზანოვებს ბრალდებოდა დაწვა. ეს საქმე სმო-

*) ამ საქმის შესახებ იხ. „Право" 1904 წ. 861.

ლენსკის ოლქის სასამართლოში გაირჩა. საქმის გარჩევის დროს ნაფიცი მსაჯულები თავისუფლათ დადიოდენ თავიანთ სახლში, რაც კანონით სასტიკათ აკრძალულია და ბრალდებულმა კი შემდეგი საგულისხმიერო სიტყვები წარმოთქვა: ადგილობრივ საზოგადოებასთან ერთათ მაშფოთებს ეს ბოროტი მოქმედება და მიკვირს მცხოვრებლებმა, როდესაც სახლები ცეცხლით იბუგებოდა, არ დაიჭირეს და არ ჩააგდეს ცეცხლში ხოზანოვები; კოკასიაში ამას უსათუოთ შეასრულებდენ, ბატონო ნაფიც-მსაჯულნო და თქვენ არ დაგჭირდებოდათ ამ ბოროტ-მოქმედების შესახებ განაჩენის გამოცხადებაო".—ამ ნაირ პირობებში მომხდარი ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება სენატმა სრულებით კანონიერათ იცნო*).

კანონიერათ იცნო სენატმა აგრეთვე პავლოვის სექტანტების შესახებ ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს საქმე თავიდან ბოლომდე უკანონოთ წარმოებდა. გამომძიებელი, რომელსაც ჰქონდა ეს საქმე მინდობილი, ჩვენებას ართმევდა მოწმეებს ცალ-ცალკე კი არა, როგორც ეს სავალდებულოა კანონით, არამედ ჯგუფ-ჯგუფათ. საქმის გარჩევის დროს ბრალდებულის დამცველებმა გამოაცხადეს, რომ ზოგიერთი ბრალდებულნი სულით ავათმყოფები არიანო და ითხოვეს საქმის გადადება და მათი ჯეროვანი შემოწმება. ამ კანონიერ განცხადებას სასამართლომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია და ასე გასინჯეთ თავის განაჩენში არც კი მოიხსენია, რაც კანონის ძალით აუცილებელი საჭიროა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებაც კანონიერათ იცნო სენატმა*).

ამას წინეთ ქ. კიშინიოვში არეულობა მოხდა. ამ არეულობის დროს ქრისტიანებმა ებრაელთა სახლ-კარი გაანადგურეს. ზოგიერთმა ამ აკლების მიზეზათ თვათ ადმინისტრაციის უმოქმედობა და ეყურადღებობა ჩათვალეს და ამის გამო საჩივარიც შეიტანეს სადაც ჯერ არის. თხოულობდენ ზარალის აღდგენას. ეს საქმე, რასაკვირველია, სასამართლოს კარჩაკეტილ დარბაზში გაირჩა. ამ ნაირ შემთხვევაში სასჯელთა წესდების 622 მუხლის ძალით ყოველ ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ საქმის გარჩევის დროს იმის მხრით, სასამართლოს დარბაზში სამი ნათესავი დაესწროს. ეს კანონით მინიჭებული უფლება სასამართლოს თავმჯდომარემ შეზღუდა იმ მოსაზრებით, რომ სასამართლოს დარბაზი ვიწრო არისო, მაგრამ იგივე „ვიწრო" სასამართლოს დარბაზი გაფართოვდა ჟანდარმერიის წარმომადგენელთათვის, რომელთაც კანონით უფლებაც კი არა აქვთ დაესწრონ საქმის გარჩევის დროს ამ ნაირ შემთხვევაში. ტყუილა ეცადენ ვექილები დაემტკიცებინათ მოსამართლეებისთვის, რომ ჟანდარმების სასამართლოს დარბაზში დასწრება არღვევს სასჯელთა წესდების 622 და 623 მუხლს, სადაც გარკვევით არის მოხსენებული, თუ ვისა აქვს უფლება დაესწროს საქმის გარჩევას. ეს საქმე სენატმა შარშან მაისში გაარჩია.

„ბ-ნო სენატორებო.—თქვა, სხვათა შორის, გამოჩენილმა ვექილმა ვინავერმა,—6—7 აპრილს ქალაქ კიშინიოვში, რაღაც ალმაშფოთებელი, გასაოცარი რამ მოხდა. საზოგადოებრივი ცხოვრება ძირიანათ შეირყა. ქუჩებში ადამიანთა სისხლის ნაკადულს ორთქლი ადიოდა... რკინის კეტებით იმსხვრეოდა ადამიანთა თავები, ითხრებოდენ თვალები, საჯაროთ უპატიურდებოდენ ქალები... და ისინი კი, ვისაც დავალებული აქვს ყოველგვარ უწესობას ბოლო მოუღონ, არ განძრეულან, გულდამშვიდებით უყურებდენ გამხეცებული ბრბოს მოქმედებას და თითიც არ გაუნძრევიათ საშინელი უსამართლობის მოსასპობლათ. საშიშია არა ის, რომ ადამიანში მხეცურმა გრძნობამ გაიღვიძა—ეს გრძნობა ხშირათ იღვიძებს, საშიში ის არის, რომ არავინ არ გამოჩნდა ისეთი, რომ ეს მხეცი დაემშვიდებია... ბ-ნო სენატორებო! ნუ თუ თქვენ არ გამოგლეჯთ კაცს ხელიდან სხვაზედ სასიკვდილოთ მოღერებულ დანას? ნუ თუ ეს ელემენტარული მცნება სავალდებულო არ უნდა იყოს იმ პირთათვის, რომელნიც საზოგადოების დარაჯათ არიან მოწვეულნი!?.. ებრაელების აწიოკებას, მათი ცოლშვილის დაწიოკებას, გაუპატიურებას და სახლკარის დანგრევას გულგრილათ უყურებს კიშინიოვის ადმინისტრაცია, მაშინ როდესაც იგივე ადმინისტრაცია გულმოდგინეთ იცავდა კიშინიოვის საბანკო და საკრედიტო დაწესებულებს. რა უფრო სავალდებულო იყო ადმინისტრაციისთვის—ხალხის ცლეტის შეჩერება, თუ დაცვა იმ დაწესებულებისა, რომლისთვის გამხეცებულ ბრბოს ხელიც არ უხლია!... აკლებული ებრაელების საკასაციო საჩივარი სენატმა უყურადღებოთ დატოვა.

თუ რა აზრს გამოთქვამს სენატი გომელ ებრალთა აკლების საქმის შესახებ არ ვიცით. ისკი ცხადია, რომ გომელის პროცესმა ნათლათ დაგვანახვა ადმინისტრაციის თავგასულობა, სამართლის დათურგვნა და უსამართლობის გაბატონება.

ვინ მოთვლის რამდენი უსამართლობა მომხდარა და ხდება დღეს ჩვენში, მაგრამ 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარ ამბავმა ყველას გადაჰარბა. „9 იანვარს, ამბობს გაზეთი" ნაშადნი, ქუჩებში შეიკრიბა მშვიდობიანი, უიარაღო ხალხი, რომელსაც ხელმწიფისთჯის თხოვნის მირთმევა უნდოდა. ჩვენ გვეუბნებიან ეს აკრძალულიაო. ვთქვათ ეს ასეა, მაგრამ ნუთუ ჩვენი კანონი ამის გულისთვის სიკვდილით სჯის კაცს? ხალხი ბრძანებისამებრ არ დაიშალაო. ასეც რომ იყოს—განა ამისთვის იმოდენა ხალხი უნდა გაეჟლიტათ!!.. დიახ, საზარელი რამ მოხდა 9 იანვარს პეტერბურგში. ათასი მშვიდობიანი მოქალაქე გამოათხოვეს წუთისოფელს, ათასი ოჯახი დარჩა უპატრონოთ... ამ ოხრათ დარჩენილ ხალხს პატრონობა და კანონის წინაშე გამოსარჩლება უნდა და კიდეც მოიწადინეს პეტერბურგის ნაფიცმა ვექილებმა გამოსარჩლება, მაგრამ იმ დასკვნამდის მივიდენ, რომ იმ უსამართლო პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, შეუძლებელია ვისმე იურიდიული დახმარება გაუწიოს კაცმაო.

პოლიტიკური და იურიდიული ცხოვრების ნორმალური მოწყობა შეიძლება მხოლოთ მაშინ, როდესაც დაკანონდება პიროვნების, აზრის, სიტყვის, ბეჭდის, სარწმუნოების, კრების და კავშირების თავისუფლება და კანონის წინაშე საზოგადოების ყველა ნაწილის თანასწორობა.

გ. ჯ—ძე.

*) იხ. Право. 1904 წ. 42, გ. 2004.

**) იხ. „Право" 1902 წ. №-ბი 25, 26.

ცოტა რამ ვაღაცაკების თეორიაზე.

ამ ჩვენ დაბეჩავებულ ქვეყანაში ერთობ დავარდნილი და ტლანქი აზრები გვესმის. მწერლობაში თუ პირად ლაპარაკში უველგან ამა თუ იმ თეორიას, ამა თუ იმ ავტორის აზრს, შეხედულებას გადამხინჯებით, ორ-აზროვნად განმარტებენ. რომელსამე კაცის სწავლა-მეცნიერებას თავისებურათ ხსნიან, მის თეორიას ძალდატანებით უსაბამებენ ფაქტებს და ასე ამგვარათ თავის გულ-ხდებს, ნაფიქრს და ნააზროვნებს გამოჩენილი ავტორის მოძღვრების სახელით ასაღებენ. ამ ჯურის ვაჟბატონები სიტყვით თუ კალმით, მოურიდებლათ და ურცხვენელათ ისეთ უბერ აზრს მოახვევენ გამოჩენილ მეცნიერს, რომ უოველ კეთილ-სინდისიერ კაცს ამის გაგონებაზე თმა უდგება. როგორც მოგეხსენებათ ჩვენში ეკონომიურ მეცნიერებაზე და განსაკუთრებით მეცნიერულ სოციალიზმზე სჯა-ბაასი, სიტყვით თუ კალმით, მოდაში შემოვიდა, ესმით, თუ არ ესმით უველანი ამ საგნებზე საუბრობენ; მეცნიერულ სოციალიზმის ავტორს თავისი აზრის დასამოწმებლათ ასახელებენ,

ზოგიც, ამავე ავტორების ნაფიქრს და ნააზროვნებს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს. ამ გვარ ხალხში უფრო სავულისხმოი კაშლილ ტაბლაზე შემომწკრივებული მობაასენი არიან; ესენი სულ სხვადასხვა შეხედულების ვაჟბატონები გახლავან, სულ სხვადასხვა გვარათ მსჯელობენ. მხოლოთ უველა ამათ ერთი რამ აქვთ საერთო: უველა ეს გმირები ერთ საკანზე მსჯელობენ, ერთსა და იმავე ავტორზე კამათობენ. ეს საერთო საბაასო ავტორი გახლავთ, რაგორც მიხვდებოდით, „კაპიტალის“ ავტორი. იცოცხლეთ, რა იმას დღეს უენებენ! ერთი კაცის მოსმით, ამ ავტორის რთულ და ღრმა მოძღვრებას გაამტვერებენ ხოლმე. „კაპიტალის“ რთულ სისტემიდან ახლა განსაკუთრებით ერთი რამ უკვირიათ, ეს გახლავთ ცნობილ წოდებული „გაღატაკების თეორია“ (die Verelendungstheorie), (აქვე უნდა შევნიშნოთ რომ ეს სიტყვა: გაღატაკების თეორია მარქს არასდ არ უხმარია, ეს მას მხოლოთ მაკრიტიკეთ მიუწერეს), რომელსაც სულ გაღამახინჯებით განმარტებენ. ამიტომ ჩვენ გვსურს ამ კითხვით დაინტერესებულ ხერთ, მოკლეთ განვუმარტოთ, თუ რაში მდგომარეობს „გაღატაკების თეორია“ და როგორ ესმოდა ეს თვით „კაპიტალის“ დამწერს.

მარქსი თავის „კაპიტალში“ ამბობს: „შედმივი შემცირება კაპიტალის-მაგნატთა რიცხვისა, რომლის პროცესის სარგებლობა უმცირესობის მონოპოლიას შეადგენს, ე. ი. ისტორიული ტენდენცია კაპიტალისტურ აკუმულაციისა*), ბადებს მასსის (უმრავლესობის) სიღატაკეს, დაჩაგვრას, დამონავებას, დეგრადაციას, ექსპლუატაციას, მაგრამ ამასთან ერთათ ვითარდება მოწინააღმდეგე მოძრაობა, შედმივ მაღდლდება მუშათა კლასი. გამუდმებით იზრდება მშრომელ ხალხის თვითცნობიერება, გაწვრთნა და ორგანიზაცია (Das Kapital, 793). იგივე ავტორი „მანიფესტში“ ამბობს: „ბურჟუაზიამ არა მარტო გაჩქდა იარადი, რომელიც მასვე ბოლოს უღებს, ბურჟუაზიამვე შექმნა ხალხი, თანამედროვე მუშათა კლასი—პროლეტარიატი“.

ინდუსტრიის განვითარებამ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, გაამრავლა პროლეტარიატი, რომელსაც მოუყარა თავი წარმოების ცენტრებში; ესენი ადვილათ იგნებენ თავიანთ დაბეჩავებულ მდგომარეობას. შემდეგ განუწყვეტელი კაპროდუტარიტება შეძლებულ კლასთა წევრებისა, გამუდმებით ერეკება პროლეტარიატოს ბანაკში განაოდებულ ელემენტებს, რომელთაც უფრო მეტი შეჰქი შეაქვთ მათში; მუშათა კლასი უფრო სავსებით ხედავს ბურჟუაზიულ წესწყობილების უკვრგისობას. ამ მოკლე განმარტებიდან ცხადათ ჩანს რომ „კაპიტალის“ ავტორი სულაც იმ აზრისა არ ყოფილა, გითომ მუშათა მდგომარეობა აბსოლიუტურათ უკარგისდებოდეს, პროლეტარიატი, რაც დრო გადის ბეჩავდებოდეს, ვიდრე მთლათ არ მოისპობა თანამედროვე წარმოების წესი. ამგვარ აზრს ხოლო ის მიაწერს მარქსს, ვინც საკუთარი არ იცნობს ავტორის რთულ მოძღვრებას. მარქსს სიცოცხლეშივე არ მოლანდებია, ამგვარი „გაღატაკების თეორია“. თუ ვინმემ უარეო ამ გვარი მოძღვრება, ეს ისევ მარქსმა; ბირველათ მან უარეო ამგვარი შეხედულება. „გაღატაკების თეორია“ როგორც მარქსის ნაწარმოების შინაარსი გვეუბნება, უნდა გავიგოთ, როგორც ტენდენცია, და არა როგორც აუცილებელი ჭეშმარიტება. უველასთვის აშკარაა, რომ კაპიტალისტები მუდამ ცდილობენ საშუალო დღის გადიდებას, სამუშაო ქირის დაკლებას და ზედმეტი დირებულების ჩაჯიბვას; მაგრამ იმავე დროს არც პროლეტარიატი ზის გუთზე ხელგაკრეფილი, იგიც საშუალებას ეძებს კაპიტალის მძიმე უღელი თავიდან მოიშოროს. ესაა კვანძი მთელი ბურჟუაზიული ცხოვრებისა; წინააღმდეგობაზეა აშენებული თანამედროვე კლასთა ბრძოლა. ეს თუმცა ასეა, მაინც ბურჟუაზიული ეკონომისტებს უველა ეს არ ჯერათ, დაჟინებით გვეუბნებიან: დიახ, გაღატაკების ტენდენცია არსებობს, მაკრამ ეს წარმავალია, იგი მხოლოთ კაპიტალისტური წარმოების დასაწყისში არსებობს, რომელსაც კაპიტალისტური წარმოების მუდმივი განვითარება თანდათან სპობს ცხოვრებაში. ეს მოსაზრება მთლათ სამართლეს მოკლებულია. ჩვენის აზრით, შეიძლება დაიძიოს ზოგიერთ შემთხვევაში გაღატაკების ტენდენციის მავნე გავლენა და არა თვით ტენდენცია, ვინაიდგან ეს ტენდენცია მჭიდროთ არის შეკავშირებული დღევანდელ წარმოების ბირობებთან; მოისპობა კაპიტალისტური წარმოების წესი და მოისპობა ამასთან ერთათ თვით ეს ტენდენციაც. სანამდის კი ბურჟუაზიული წარმოების წესი არსებობს, კაპიტალისტებს ყოველთვის ის ექნებათ მიზანათ, რომ ზედმეტი დირებულობის საშუალებით მოგება გაიდიდონ, სამუშაო დღე გაიდიდონ და ეს კი დღევანდელ წეს-წყობილებაში აუცილებელია. რასაკვირველია, არიან ისეთი კაპიტალისტებიც, რომლებიც მუშების ორგანიზაციური მოქმედების წყალობით, სამუშაო თვეს უმატებენ და სამუშაო დღეს ამოკლებენ. მაკრამ ამით არ ისპობა საერთოთ გაღატაკების ტენდენცია. მექარხნენი და თვბრიკანტები ცდილობენ წარმოებაში გაუმჯობესებული სისტემის მანქანები ამუშაონ და მით ათასობით მუშათა ხალხი უღუმბურათ დატოვონ; ისინი ასრულებენ კაპიტალისტთა კვეშირს, ტრესტ-კარტელებს, მუშათა კლასის დასამონავებლათ. კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის ნაწერებში ის აზრი არის გატარებული, რომ გაღატაკების ტენდენცია უცილებელია აბსოლიუტურათ, მაკრამ იმავე დროს ამ ტენდენციას არ შეუძლია მუშათა კლასი აბსოლიუტურათ დაიმონავოს; ბირიქით, ეს ტენდენცია უფრო ძლიერ ანვითარებს მათში ბურჟუაზიულ წეს-წყობილების საწინააღმდეგო მოძრაობას თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. სწორეთ ამ ამით განსხვავდება მუშათა პარტიის და ბურჟუაზიულ რეფორმატორების მოძღვრება და მიმართულება. უკანასკნელნი, ე. ი. რეფორმატორები, თვიქრობენ, რომ კაპიტალისტურ წარმოების განვითარება გაღატაკების ტენდენციას თანდათან სპობს, თანდათან აჭარწყლებს; ამათი აზრით, დადგება ისეთი დრო, როდესაც დამყარდება სოციალური მშვიდობიანობა და მუშათა და კაპიტალისტთა შორის განხეთქილება ალარ იქნება. მაკრამ ეს მხოლოთ ბურჟუაზიულ თვალსაზიის ოცნებაა და სხვა არაფერი. სოციალური მშვიდობიანობა მხოლოთ მაშინ დამყარდება, როცა დღევანდელი წარმოების წესი მოისპობა, რაც თანამედროვე კლასთა ბრძოლის საფუძველს შეადგენს, როცა კაპიტალს ეკონომიური და პოლიტიკური ძალა გამოეცლება. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალური სიღატაკე მუდმივ ზრდა-განვითარებაში იქნება, კაპიტალიზმის კანვითარებასთან ერთათ მუშათა მდგომარეობა მუდამ მძიმე და აუტანელი ხდება, ეკონომიური დამოკიდებულება უფრო მეტათ მწვავდება.

ფერდინანდ ლასალი, რომელიც გატაცებით მიმხრე იყო „Das eherne Lohngesetz-ისა (სამუშაო ხელფასის რკინის კანონი) თავის „Antwortschreibn“-ში წერს: „მუშებს ეუბნებიან: თქვენი მდგომარეობა დღეს სულ სხვაა, ვიდრე 300—400 წლის წინეთ იყო, თქვენი მდგომარეობა გეფიათ გაუმჯობესდა... თქვენი მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე ბოტოკუდებისა და კაცის მჭამელ ველურებისა. მაკრამ მე თქვენ გეუბნებით: კაცის ეოველგვარი გედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ მან რამდენათ გაამრავლა ამა თუ იმ დროს სახსარი იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რომელნიც საჭიროა ცხოვრებისათვის. ეოველი კაცი კმაყოფილია იმის დაგვარათ, თუ რამდენათ უმჯობესდება მისი მდგომარეობა სხვებთან შედარებით. საშუალო საუკუნეობაში არც ერთ გლეხის სახლს არ ჰქონდა შუშიანი ფანჯარა, არ მოეპოვებოდა ოჯახში სარკე და აგრეთვე უველა ის, რაც დღეს უბრალო მუშის ოჯახის აუცილებელ სახმარ საგანს შეადგენს; ზოგიერთები ამბობენ კიდეც, ვითომ კარლოს დიდს სიცვალი არა ჰქონდაო, მაკრამ აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ მუშების მდგომარეობა დღეს უკეთესია, რადგან დღეს მუშებს სარკე და სხვა ბევრი ისეთი რამ მო-

*) კაპიტალისტური აკუმულაცია (накопленіе) ნიშნავს საზოგადოების სიმდიდრის რამდენიმე კაცის ხელში მოყრას, შეგროვებას.

ებოვებათ ოჯახში, რაც უწინდელ დროში თვით მეფის სასახლეშიაც არ მოიძებნებოდა. არა, თქვენი მდგომარეობა თანამედროვე ბურჟუაზიასთან შედარებით უკვრკესია, ახლა თქვენსა და შეძლებულთ შორის ნაცთიერი უთანასწორობა გაცილებით დიდია, ვიდრე სამუალო საუკუნოებში მეფესა და გლეხს შუა".

მართალია აქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება ვითარდება, მუშა ხალხის სამუშაო ქირა შიდა იწევს, მუშა მეტ ფულს იღებს შედარებით, მაგრამ საქმე სამუშაო ფასის გაიდებაა კი არ არის, არამედ ის, თუ ამავე დროს ფულის რეალური ძალა გაიზარდა, თუ რამ დღეუნდელი მუშა, გაიდებულ სამუშაო ქირის საშუალებით, გარდუვალებულ მოთხოვნილებებს უკეთ იკმაყოფილებს, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის მუშა თავის პატრონ შემოსავალით—ცოტა მოთხოვნილებებს. ამის შესახებ ავგუსტ ბებელი ჰანოვერის პარტეიტაგზე საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: „1863 წ. დასდი ქ. დეიჩიგში მოვიდა; მე მაშინ ერთ ხარატის სახელოსნოში ქარგალთ ვიყავი. ჩემი ოსტატი დღეში 11 საათს მამუშავებდა, რისთვისაც კვირაში 10 მარკას მაძლევდა (მარკა ათ შაურზე ცოტა ნაკლებია). ოთხი წლის შემდეგ მე დამოუკიდებელი ოსტატი გავხდი, საკუთარი სახელოსნო გავხსენი. პირველათ, როცა რეხსტაგის სესიიდან დავბრუნდი, ჩემმა უფროსმა ქარგალმა გამომიცხადა: გამისწორდი, მეც მინდა საკუთარი სახელოსნო გავხსნა. როცა ეს ამბავი ერთ ჩემ ამხანაგს ქუჩაზე ვუამბე, მითხრა: ახია შენზე, ახი! რათ იყავ ისეთი სულელი, რათ აძლევდი იმდენს, რამ მას რჩებოდა კიდეც". ახლა არ იკითხავთ, რას ვაძლევდი ჩემს ოჯახს?—კვირაში $12^1/_2$ მარკას! ეს თავი მაშინდელ დროში, დეიჩიგში, ძალიან დიდი სამუშაო ქირა იყო, დღეს კი 1899 წ. დეიჩიგში ძნელათ მოიპოვება ისეთი მუშა, რომელსაც კვირაში 21 მარკა არ ჰქონდეს, 100 პროცენტი მეტი, ვიდრე 1863 წელს. ახლა თუ რომელიმე თქვენგანი იფიქრებს, რომ დღეს ხარატის ნაკრმა 100 პროცენტით თავის სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესა, მე იმას პირდაპირ მასხარათ ავიგდებ და სხვას არაფერს ვეტყვი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სამუშაო ქირის გაიდებასთან ერთათ გაძვირდა ბინა, სანოვაგე, სახელმწიფო გადასახადი და სხვ. მაგ., ბინის ქირამ 10 პროცენტით იმატა, სახელმწიფო და კომუნალურმა გადასახადებმა—100 პროცენტით".

აბა, ახლა თვალი გადავავლოთ შუშების შემოსავლის სტატისტიკას, დავინახოთ, რამდენით იზრდება მშრომელი ხალხის შემოსავალი შედარებით შეძლებულ კლასებთან. ვიდოთ, მაგალითად, საქსონია (ერთი პატარა სამეფოა გერმანიაში), სადაც შემოსავლის საუკეთესო სტატისტიკა არსებობს; ამასთან ეს პატარა სამეფო ტიპიური ინდუსტრიალური მხარეა, სადაც მუშაიდელი მცხოვრებლების ნაწილი მეურნეობით ცხოვრობს, დანარჩენი კი მრეწველობა-ვაჭრობით. საქსონიაში 1880—1895 წლამდე მცხოვრებთა რიცხვი 27 პროცენტით გამრავდა, საშუალოთ გაიდებით მეტით, ვიდრე მთელ გერმანიის სახელმწიფოში; ამასთანავე მცხოვრებთა საერთო შემოსავალი გაიდებით უფრო დიდათ გაიზარდა, ვიდრე თვით მცხოვრებთა რიცხვი. ბერნშტეინი და ბურჟუაზიული ეკონომისტები. ამ ციფრების დანახვაზე დაფს და ნიღაბს სცემენ; ისინი გაიძახიან: „ვერ უყურებთ რაც დრო გადის, როგორ იზდება მცხოვრებთა საერთო შემოსავალი"... დიახ, ეს ნამდვილი ფაქტია, შემოსავალს ყველგან ზრდა ეტყობა, მაგრამ ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მომუშავე ხალხთა რიცხვი იზრდება. უწინ, მთელ ოჯახში მხოლოთ ერთი, მამა კაცი იყო, შემოტანი და ოჯახის მცხოვრებელი, დღეს კი პირიქით, ოჯახში ყველა შემოტანია, როგორც დიდები, ისე პატარაები კანურენციასთ სქესისა, 13 წლიდან დაწყებული. ხშირათ ოჯახის შემოსავალში თვით ექვსი და უფრო ნაკლების წლის ბავშვს უდევს წილი. ამიტომ სრულებით გასაკვირვალი არ არის, თუ ოჯახის შემოსავალმა რამდენიმეთ იმატა. დასახელებულ სამეფოში, 1890 წლამდე 300 მარკიანი შემოსავალი სახელმწიფო გადასახადიდან განთავისუფლებული იყო, 1890 წლიდან კი 400 მარკიანი. 1882 წ. სახელმწიფოს მთელ გადმხდელ საზოგადოებიდან, გადასახადიდან განთავისუფლებული იყვნენ 76863 სული, ე. ი. 5,61%; 1895 წ. განთავისუფლებული იყო 217964, ანუ 13,76%, ასე რომ ხალხის დიდ ნაწილს 217964 სულს 400 მარკაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონია. ახლა ვნახოთ შემდეგი ციფრები რაღას გვეტყვიან სქსონიის ხალხის შემოსავალზე:

შემოსავალი	1879 წ.	1894 წ.	ზრდა. აბსოლიუტ.	პროცენტ.
800 ს. მარკამდის.	828686	972257	143571	17,3
800—1600	165362	357974	192612	116,4
1600—3300	61810	106136	44326	71,6
3300—9600	24072	41890	17818	74,0
9600—54000	4683	10518	5835	154,4
54000 მ. მეტი	238	883	648	272,0

თუ ციფრების აბსოლიუტურ ზრდას ვიდებთ, დავინახავთ, შემოსავალი 800 მარკაზე ქვევით 143,571 მდე ასულა, 3300 მარკაზე ზევით—24,291-მდე; შემოსავალი, 800 მ. ქვევით, შეადგენს სამ-მეოთხედს მთელი შემოსავლისას, მაშინ როცა 3300 მ. ზევით შემოსავალი მხოლოთ ერთ მეოცედს; თუ რამ ციფრებს შევარებით განვახიდავთ, დავინახავთ, რამ შემოსავალი 800 მარკაზე ქვევით უველაზე ნაკლებათ იზდება, შემოსავალი 1600—3300 მ-დე 71,7%, შემოსული 3300—9600 მდე 74%. უველაზე სწრაფათ იზდება საშუალო შემოსავალი—800—1600 მდე 116,4%, 1400—1600 მ. შემოსავალი—79,5%; უფრო მეტი სისწრაფით იზდება სულ დიდი შემოსავალი—54000 მარკაზე ზევით,—ე. ი. 272,%. ამ ნაირათ პროდუქტირების და მიდინარების შემოსავალი შედარებით გაიზარდა, უკანასკნელების უფრო მეტათ, ვიდრე უველასი ერთათ, მხოლოთ საშუალო შემოსავალი შედარებით კლებულობს.

ამგვარათ, როგორც ციფრები გვეუბნება, რაც დრო გადის პროდუქტორიატს და ბურჟუას შორის ქონებრივი უთანასწორობა იზდება, რომელიც ერთათ ერთ მიზეზით უნდა ჩაითვლოს ხალხის უკმაყოფილობისა და სოციალური იდეალისა.

(შემდეგი იქნება).

ლ. ახმეტელაშვილი.

საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგმ. ლ. ელიავისა)

(შემდეგი.—იხ. „მოგზ." № 3).

II.

საზოგადოებრივობა ცივილიზაციის ხანაში.

განვითარება ამ საფეხურზე როდი შეჩერებულა—ბევრმა ხალხმა განვლო ეს ხანა და მიაღწია ცივილიზაციას.

ამის უმთავრესი მიზეზი მიწათმოქმედების განვითარება იყო. უკანასკნელმა თანდათან პირველი ადგილი დაიჭირა, ნადირობა და ძლიერ ხშირათ საქონლის მოშენებაც (ჯარდა მეტათ მწირე ადგილებისა) ეფრო მცირე როლს ასრულებდა. ბოლოს ნადირობა, რომელიც წინეთ ცხოვრების სახსარს შეადგენდა, გასართობათ გადაიქცა. ნამეტურ სწრაფათ მოხდა ასეთი ცვლილება რომის კულტურის გავლენის გამო გერმანიაში ხალხთა გადასახლების დროს. მაგრამ ჩვენ არ შევეხებით იმ განსაკუთრებულ ოვისებებს, რომელნიც რომის კულტურამ გამოიწვია; ჩვენ შევჩერდებით მხოლოთ გერმანიის ხალხია განვითარების ტიპიურ მხარეებზე.

რამდენათაც მიწათმოქმედება და მეცხოველეობა წვრილ თემების და პატრიარქალურ ოჯახისათვის მთავარ შემოსავლის წყაროთ ხდებოდა, მით უფრო ვერ აუდიოდა დედაკაცის ძალღონე ოჯახის მეურნეობას. ტაციტის დროს მისთვის უკვე სა-

ჰირო შეიქნა მონების და იმ თავისუფალთა დახმარება, რომელთაც იარაღის ტარება არ შეეძლოთ; ასეთები იყვენ: ბავშები, მოხრდილები და მოხუცნი. მალე მჭომრებიც იძულებული შეიქნენ მიეღოთ მონაწილეობა მუშაობაში; მონადირე და მეომარი ხალხთა გადასახლების ხანაში უკვე მიწათმოქმედები გახდენ. ისინი ახლა, როგორც დედაკაცი, კერას დაუახლოვდენ, რადგან მიწათ-მოქმედების კულტურამ შედარებით მაღალ განვითარებას მიაღწია, შეუძლებელი შეიქნა ბინის გამოცვლა და ამის გამო ამ დროიდან ადამიანები „მიწას დაუკავშირდენ", დამკიდრებული, დასახლკარებული შეიქნენ.

წარმოების წესის ასეთ ცვლილებას თან დაყვა მთელი სოციალური და პოლიტიკური წყობილების ცვლილება.

კულტურულ განვითარების პირველ საფეხურზე ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარმოების განვითარებაში. ეს იყო ბრძოლა წარმოების უმთავრეს საშვალების—ტერიტორიის—მოსაპოვებლათ, რომელიც საქონლის მოშენებისა და ნადირობისათვის აუცილებელი საჭირო იყო. იქ, სადაც ველური ტომები უფრო დაწინაურებული ტომების მეზობლათ ცხოვრობდენ, გარდა სადავო ტერიტორიის დასაჭერათ მომხდარ ომისა მტაცებლობასაც ჰქონდა ადგილი; ეს კი მეომარ ბარბაროსებისათვის მეტათ ხელსაყრელი იყო, რადგან დიდ დავლას შოულობდენ. იყო ისეთი ბარბაროსთა ტომები, რომელთა შეძენის უმთავრესს სახსარს დაწინაურებულ მეზობლების ძარცვა-გლეჯა შეადგენდა. ასეთ პირობებში მეობრობა ძალიან ხელსაყრელი იყო და იაფათაც ჯდებოდა, რადგან საჭირო იარაღი უმეტესათ იქვე იყო, რომელსაც სანადიროთ ხმარობდენ და დროც, როგორც უკვე ვიცით, საკმაო ქონდათ.

სულ სხვა ხასიათს ღებულობს საქმეების მიმდინარეობა, როცა მეჯოგე ანუ მონადირე ტომი მიწათ-მოქმედებას იწყებს. ომით მიწათმომქმედი დიდ სარგებლობას ვერ მოიპოვებს. დასახლკარებული მეურნე სხვის მიწა-წყალს არ საჭიროებს და თუ ახალი მიწის დაპერა მოინდომა, მაშინ თავისი უნდა მიატოვოს, რომელიც ისეთი შრომით მოუპოვებია; არც ძარცვა-რბევაა მათთვის მაინცა და მაინც სასარგებლო, რადგან მისი მეზობლებიც კულტურის იმავე საფეხურზე დგანან, როგორც თითონ, ან და კიდევ უფრო დაბლა. ამგვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ სარგებლობა, რომელიც შესაძლებელია კაცს მოუტანოს ომმა, მეურნესთვის თანდათან მცირდება, ხოლო ხარჯი კი უფრო და უფრო მეტის სიმძიმით აწვება მას კისერზე: ახალი საწარმოო იარაღები აღარ არის გამოსადეგი ომისათვის. ვითარდება მიწათ მოქმედების ტეხნიკა, მაგრამ მასთან ერთათ ვითარდება სამხედრო ტეხნიკაც; ომისთვის შეიარაღება ძვირათ ჯდება, და ეს უკანასკნელი შრომით მცხოვრები ხალხისათვის სრულიად უხერხელი ხდება.

ამას გარდა უმთავრესი დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ მეურნე თავის კერას და მიწა-წყალს ვერ შორდება. არის ისეთი ხანა მიწის მუშაობაში, როცა ოჯახის მოშორება დიდ ზარალს მოუტანს მეურნეს. ამიტომაა, რომ ხანგრძლივი ლაშქრობა განსაცდელში აგდებს როგორც მას, ისე მთელი მისი ოჯახის არსებობასაც.

თავისუფალი კაცის სამხედრო უფლება, რომლითაც ის დღემდის ასე ამაყობდა, ეხლა სამხედრო ბეგარათ იქცა და სულ მჭის და მჭის სიმძიმით აწვება მეურნეს, ვალებში აგდებს, აღატაკებს და ანადგურებს.

მაგრამ ახლა ომის დაწყება თუ დასრულება სრულიად არ არის დამოკიდებული მიწათ-მომქმედის სურვილზე. იმ დროის დაპყრობითი ომებზე რომ არ ვილაპარაკოთ, რომელზედაც არ შეეჩერდებით, რათა კითხვა არ გავართულოთ, მარტო მიწის მუშაობით შეძენილი ქონებაც საკმაოთ იზიდავს ბარბაროს და მეჯოგე მოხეტიალე ტომებს სცრბევთ; ამისგამო მიწის მუშა იძულებულია მიატოვოს სამუშაო და თავის დასაცავათ მოემზადოს.

რა უნდა ქნას მეურნემ ასეთ პირობებში? რომ ყველაფერი არ დაეკარგოს, თავის ნაჭინახულევის ნაწილზე უნდა ჰიღოს ხელი. განვითარების ამ საფეხურზე შრომა იმდენათ ნაყოფიერი გახდა, რომ იმაზე მეტს იძლევა, რაც აუცილებლათ საჭიროა მწარმოებლის და მისი ჯალაბის გამოსაკვებათ. აი ეს ზედმეტი შემოსავალი აძლევს საშვალებას მიწის მუშას დამცველები დაიქირაოს. ის არსებობის საშვალებას აძლევს განსაკუთრებულ კლასს, რითაც ეს უკანასკნელი ახერხებს თავის ოჯახის დაუზარალებლათ ხელი მოკიდოს სამხედრო ხელობას. სწორეთ ისე, როგორც ბარბაროსობის ხანაში დედაკაცის შრომა ნებას აძლევდა მამაკაცს საომარ, ან სანადირო მიზნით შორს და ხნაგრძლივათ ემოგზაურა. აი ეს კლასი ათავისუფლებს მიწის მუშას სამხედრო ბეგარისაგან და თვით იცავს ქვეყანას და მის მცხოვრებლებს.

ასეთია სამხედრო კაცის, ანუ წოდების ეკონომიური საფუძველი. მხოლოთ ის სულ სხვადასხვა ფორმას ღებულობს სხვადასხვა ისტორიულ პირობების გავლენით, რომელშიაც ვითარდება: ხან ტომის ან მოდგმის ბელადები და თემის სხვადასხვა თანამდებობის კაცები ამალით და მსახურებით სამხედრო არისტოკრატებათ ხთებიან, ხან აზნაურების როლს გარედან შემოჭრილი რომელიმე ბარბაროსი ტომი თამაშობს, ხან ამავე როლს ასრულებს დაქირავებული ბრბო და სხვადა სხვა. აგრე სხვადასხვა ნაირია ფორმა სამხედრო კასტისა (წოდებისა), მხოლოთ ერთნაირი ის არის, რომ ამ წოდების გაჩენას ყოველთვის ვამჩნევთ იქ, სადაც მიწათმოქმედება წარმოების უმთავრეს დარგათ ხდება. განვითარების ამ საფეხურზე, როგორც ვხედავთ, სამხედრო კასტა ეკონომიურ აუცილებლობას წარმოადგენს. თუ ამ კასტის აღორძინებას უმეტეს ნაწილათ თან სდევს ძალმომრეობა,—ეს არაფერს არ გვიმტკიცებს: ძალა ახალი საზოგადოების წარმომშობი კი არ არის, იგი მხოლოთ ხელს უწყობს მის წარმოშობას. და რაც სამხედრო ბეგარას მოუვიდა, იგივე ბედი ეწვია საზოგადოების მართველობას, კანონმდებლობას და სასამართლოს. საზოგადოება თანდათან რთულდებოდა, შრომის განაწილება ვითარდებოდა, მცხოვრებლები კლასებათ იყოფოდა: მატულობდა კერძო საკუთრების რაოდენობა და იზრდებოდა მისი მნიშვნელობაც. ამის გამო საზოგადოების მართვა-გამგეობა, კანონმდებლობა და სამართალი თანდათან რთულდებოდა და ძნელდებოდა. დრო-გამოშვებითი სახალხო კრებები, რომელიც ამ საქმეების გადაწყვეტაში ძველ ჩვეულებებით (ტრადიციით) ხელმძღვანელოდა, უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნილებას. და სწორეთ იმ დროს, როცა სახალხო კრებების საქმეები აგრე მატულობდა, მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს აღარც სურვილი ქონდა და აღარც მოხერხება საჭიროებისამებრ მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებებში.

მიწათ-მომქმედი თანდათან ცდილობდა, როგორც სამხედრო ბეგარა, ისე თავის პოლიტიკური და სამოსამართლო ვალდებულება, სხვისთვის გადაეცა, რასაკვირველია შესაფერი საყიდლის გაღებით.

ყველაზე უფრო მოხერხებული იყო ეს მოვალეობანი გადაეცა მათთვის, ვინც სამხედრო ბეგარა იკისრა. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველგან, სადაც ასეთი განვითარება უფრო, მაღალი კულტურის გავლენის გარეშე ხთებოდა, როგორც, მაგალითად ეგვიპტეში, თავდაპირველათ არსებობდა მხოლოთ ერთი გაბატონებული კლასი ანუ კასტა. შემდეგ ეს კლასი ორათ იყოფა: კლასი მხედართა და კლასი ქურუმთა. ამათ ხელშია მართვა-გამგეობის, კანონ-მდებლობის და სამართლის უმთავრესი საქმეები.

ამგვარათ ცივილიზაციის დასაწყისში ძველი სახალხო უფლება თანდათან ქრება; მას სჭობს არა „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ვერაგობა და უფლების—მოყვარეობა, არამედ საწარმოო წესის განვითარება.

ამის მაგალითს ჩვენ ვპოულობთ ჩრდილოეთ გერმანელებში. აქ სახალხო უფლების დაცემის ხანაში მეფე და მეფის მოხელენი არა თუ არა ცდილობენ სახალხო კრებების შეზღუდვას და მოსპობასა, პირიქით, ცდილობენ, რომ ხალხმა მეტი მონაწილეობა მიიღოს მათში. ამ მიზნით აჯარიმებდენ კიდეც, ვინც კრებაზე, არ ესწრებოდა.

მართლაც, სანამ გერმანელებში არ გაჩნდა ორგანიზაციები, რომელთაც სახალხო კრებების მაგიერობა უნდა გაეწიათ, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის მეტათ მავნებელი უნდა ყოფილიყო უმოქმედობა ანუ სახალხო კრებებზე დაუსწრებლობა. რა თქმა უნდა, როცა ეს ორგანიზაციები სიმდრის და უფლების მოპოვების წყაროთ შეიქნა, მაშინ სურათი გამოიცვალა, და ახლა ყოველი ცდა წინანდებური თავისუფლების აღდგენისა ამ ორგანიზაციების ხელმწიფებისა და სიმდიდრის ძირის გამომთხრელ მოქმედებათ ითვლება. მაგრამ ჭურუმების და სამხედრო არისტოკრატიის ბატონობის საფუძველი მაინც მათ ეკონომიურ აუცილებლობაშია.

მიუხედავათ ამისა ჭურუმების და არისტოკრატიის ბატონობის ხანაში სრულიად როდი ისპობა ხალხის თავისუფლება, ის მხოლოთ იზღუდება. გლეხს აღარც დრო და აღარც შემთხვევა აქვს მონაწილეობა მიიღოს ტომის და ხალხის საქმეების მოწესრიგებაში; მხოლოთ თემის მართვა რჩება მას ხელში და ამითიც კმაყოფილია. თითოეული თემი ეხლა დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც მით უფრო კარგათ ცხოვრობს, რაც უფრო ნაკლები კავშირი აქვს სხვა თემებთან. სახელმწიფოს და ტომის საქმეებისადმი ინტერესი თანდათან ქრება; და თემია ეხლა გლეხისთვის მთელი ქყეყანა, მისი პოლიტიკური ინტერესი თანდათან იზღუდება და თემის გარეშე მისთვის არაფერი არ არსებობს.

იმ დროს, როდესაც ასეთი განვითარება ხდება, ერთის ან რამდენიმე ძველი ტომისაგან შემდგარი ახალი საზოგადოება და სახელმწიფოები კარგავენ თავის ორგანიულ მთლიანობას. ცივილიზაციაზე ადრინდელ ხანაში ტომს საფუძვლათ ედვა მისი წევრების განუწყვეტელი კავშირი;სახელმწიფო კი, რომელზედაც ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ როგორიც იყო მაგალითათ საშუალო საუკუნეების ფეოდალიური სახელმწიფო, ანუ უმეტესი ნაწილი აღმოსავლეთის სახელმწიფოებისა, დამყარებულია თითქმის მხოლოთ არისტოკრატიის და ჭურუმების, ამ გაბატონებული კლასების, კავშირზე. ცალკე თემს არავითარი ორგანიული კავშირი არა აქვს სახელმწიფოსთან.

წინეთ შეიძლებოდა ტომის მოსპობა ანუ განდევნა, მაგრამ ძალდატანებით მისგან ნაწილის მოწყვეტა და სხვა ტომში ჩარიცხვა კი შეუძლებელი იყო. საშუალო საუკუნოების და აღმოსავლეთის სახელმწიფოები კი წარმოადგენს მხოლოთ სხვა და სხვა თემების გროვას, რომელთაგან თავისუფლათ შეიძლება თითოეულ მათგანის ჩამოცილება და სხვაში ჩარიცხვა და ეს არავითარ ცვლილებას არ მოახდენს მის ცხოვრებაში. განვითარების ამ ხანაში ბედნიერ დამპყრობელს ან მოხერხებულ სპეკულიანტს საოცარი სიადვილით შეუძლია დაარსოს ან მზითევში *) აღებით შეადგინოს დიდი სახელმწიფო; მარა ასეთი სახელმწიფო ისევე ადვილათ დაირღვევა, თუ მტრები შემოესია.

თემის წევრებს სრულიადაც არ აინტერესებს ის ცვლილებები,რომლებიც ხდება გაბატონებულ კლასებში. ეს ცვლილებები არც იმდენათ ეხება მათ, რადგან მათთვის სულ ერთია პეტრეს აძლიოს თუ ივანეს ბეგარა ან რომელ ერთ მათგანისთვის იმუშაოს საბატონო დღეები. მაგრამ კიდევაც რომ მოენდომებიათ წინააღმდეგობა გაეწიათ რომელიმე ცვლილებისათვის ამითაც ვერ ისარგებლებდენ რადგან განცალკევებული სოფლის საზოგადოება თითქმის სრულიად უღონო და უმწეოა მთელ სახელმწიფოს გაბატონებულ კლასების ძლიერ ორგანიზაციებთან ბრძოლაში.

(შემდეგი იქნება).

*) აქ ავტორის მხედველობაში აქვს ის ჩვეულება, როცა მთელი მხარეები მზითვათ ეძლეოდა მთავრის ასულებს. ეხლანდელ დიდ სახელმწიფოთაგან ამგვარათ დაარსებულია ავსტრია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პეტერბურგში მექარხნე-მეფაბრიკეთა მომხდარი მოლაპარაკება შემთხვევას აძლევს გაზ. „ნაში დნი“-ს სამართლიანი აზრი გამოთქვას იმის შესახებ, თუ რამდენათ ეწინააღმდეგება რუსეთში გაბატონებული ბიუროკრატული წესი მრეწველობის განვითარების საქმესაც კი:

„უკანასკნელ ხანებში მომხდარმა მუშათა არეულობამ აშკარათ დაამტკიცა, რომ ყოვლად მოუხერხებელი გამხდარა მრეწველობის წესიერი განვითარება, თუ ბიუროკრატიულ წესწყობილება არ მოისპო.

გარეგანი ფორმით მუშების არეულობანი წარმოადგენენ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური პირობების შედეგს. ადმინისტრაცია კი მხოლოთ თავის მიზანს ემსახურება და ამიტომ მოინდომა პოლიციური რეპრესიებით დაემორჩილებია მუშათა მოძრაობა და ისეთ კალაპოტში ჩაეყენებია, როგორც თვით ბიუროკრატიას სურდა. აი ამ ადმინისტრატიულმა უტოპიამ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდის რომ ყოველ წამს მოსალოდნელია ისეთი კატასტროფები, რომელთაც შეუძლიათ ძირიანათ შეარყიონ მრეწველობის წესიერი მიმდინარეობა. ეკონომიურ ბრძოლაში გადმოტანეს გამამწვავებელი პოლიტიკა მზვერავობისა, ჯაშუშობისა და პროვოკაციისა, რამაც ყოვლად შეუძლებელი გახადა დამყარდეს ცხოვრება მტკიცე ნიადაგზე და რიგიანი ურთიერთობა საზოგადოებაში“.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის.

თვეში ორჯელ, სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანვარიშეა 1-დ ნოემბრიდან 1-დ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან., ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა—2 მან. 50 კ., ცალ-ცალკე—1 მ. 50 კ.; თვეში ღირს 40 კაპ. ხელის მომწერს შეუძლია თვეში თითო მანეთი შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქ., № 5, სახლი ბაზოგისა,სადგომი მარიამ ივანეს ასულის დეშურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ“. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція журнала „Накадули“**

გამომცემელი **კნ. ნ. ე. ჭობულაშვილისა.**

რედაქტორები { **კნ. ე. ერისთავისა.** **ნ. ზურაბიშვილისა.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го февраля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ.